# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№40 (25.064) ხუთშაბათი, 20 - 21 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა.

## კრიალოსა N იუსი

საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა საქართველოში ევროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკის ევროკომისიისთვის განკუთვნილი ანგარიში გადასცა, რომელიც გაფართოების პაკეტის ფარგლებში, კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად პირველად მომზადდა. ანგარიში 2023 წლის 18 აპრილს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 66-ე სხდომის ფარგლებში დამტკიცდა და მასში ასახულია ევროკავშირთან დაახლოების კუთხით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ განხორციელებული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სხვა სახის აქტივობები და სახელმწიფოს მიერ მიღწეული პროგრესი.

* * *

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ნომერ პირველ პრიორიტეტად რჩება, განვაგრძობთ პრაგმატულ პოლიტიკას და დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შევძლებთ, - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ. „გვაქვს საერთაშორისო ფორმატები, სადაც ვწყვეტთ მიმდინარე რთულ საკითხებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ორივე რეგიონში არსებული რეალური ვითარება, მათ შორის ტვირთების, ვაჭრობის, ადამიანის უფლებების საკითხებში, რჩება რეალური მონიტორინგის მიღმა როგორც ჩვენი, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან“, - აღნიშნა თალაკვაძემ.

* * *

19 აპრილის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებმა რეგისტრაცია კვლავ არ გაიარეს. შედეგად, სასამართლო სისტემაში კორუფციული და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შესწავლის მიზნით საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე კვორუმის არარსებობის გამო, კენჭისყრა ისევ არ შედგა. ოპოზიციის ინიციატივაზე წინა დღით, უმრავლესობაში განაცხადეს, რომ ამ პრეცედენტის შექმნა ძალიან მანკიერი პრაქტიკის დასაწყისი იქნებოდა. „ლელოს“ დეპუტატ სალომე სამადაშვილის განცხადებით კი „მმართველი ძალა აშშ-ის მიერ სანქცირებულ მოსამართლეებს გადაეფარა“.

* * *

ენმ-ის ყოფილმა თავმჯდომარე ნიკა მელიამ ახალი ოფისი გახსნა. „გაუგებარია, რას ემსახურება პოლიტიკური ოფისის არსებობა, სადაც შეკრებილები თავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებად ასაღებენ და, ამავდროულად, თავს ესხმიან მას“, - ასე გამოეხმაურა სიახლეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. „ახალი ოფისი გაიხსნა, რომ არ დაფანტულიყო ხალხი. ბევრმა დაინახა, რომ მათ, უბრალოდ, კარი მიუხურეს. მათ არ სურთ ვანო მერაბიშვილის პოზიციის გაზიარება. ჩვენი ამოცანაა რეჟიმთან ბრძოლის გაგრძელება“, - განაცხადეს მელიას გუნდში.

**მოამზადა ია შველიძემ**

# ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო კონფერენცია

**დარინა ბაბაიძე 514 22 22 80**

***აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ, ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კონფერენცია გამართა***

კონფერენციის მთავარი თემა ამჯერად არამატერიალური ძეგლები იყო. ასეთი აჭარაში სულ სამია - აჭარული ნაქარგობა, ბორანო, განდაგანა და მისი ხალხური საწყისები. სტატუსის მოლოდინშია ლაზური ნავის დამზადების ტექნოლოგია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უკვე გადაეგზავნა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ. როგორც მან აღნიშნა, ძეგლების აღდგენა-რესტავრაციაში მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს, ისე ფონდი „ქართუს“ წვლილი.

მთავრობის თავმჯდომარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთაშორისო მარკეტინგული და ტურისტული მიმართულებით ღონისძიებების გაფართოების, ცნობადობის გაზრდის, ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ინიციატივით გამოვიდა.

კონფერენციას არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე და მის შენარჩუნებაზე ისაუბრეს.

2012 წლიდან დაიწყო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა რეგიონში. ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღეს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ყოველწლიურად აღნიშნავს.

კონფერენციაზე, სამეცნიერო საკითხებთან ერთად, ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთმიმართებაზეც ისაუბრეს. მოეწყო ბათუმელი მხატვრების გამოფენა.



# დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

***1989 წლის 19 აპრილს დაღუპული ყიშლის 8-წლიანი სკოლის დირექტორის დავით შაინიძის ქალიშვილი ლია შაინიძე პატარა იყო, როცა ეს უბედურება დატრიალდა***

წელს ლიამ, დედამისმა, სხვა გარდაცვლილების ახლობლებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა 34-ედ მიაგეს პატივი იმ 23 ადამიანის ხსოვნას, რომლებიც სტიქიას ემსხვერპლნენ. მათ სხალთის მონასტერში მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, სანთლები დაანთეს დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად.

ტრაგედიის ადგილზე მისულებმა გვირგვინებით და ყვავილებით შეამკეს ხსოვნის მემორიალი.

ტკივილიანი 19 აპრილი და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები გაიხსენეს სამგლოვიარო მიტინგის წამყვანმა ნანა შაინიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა, დაღუპულთა შვილებმა ლია და ნაზი შაინიძეებმა, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, ამავე ორგანოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ მახარაძემ, ხულოს მერის წარმომადგენელმა სხალთის ადმინისტრაციულ ერთეულში რაულ მახარაძემ.

სხალთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დაღუპულები ლექსებითა და ჩანახატებით გაიხსენეს.

- 19 აპრილი მარტო ერთი სოფლის, ერთი ხეობის ტკივილი არაა. დღეს, კიდევ ერთხელ, სანთლები დავუნთეთ და ტრაგედიის ადგილზე პატივი მივაგეთ ბუნებისგან განწირულთა ხსოვნას, - გვითხრა დავით გაბაიძემ.

სამგლოვიარო მიტინგს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძეც ესწრებოდა.




ISSN 2720-8702



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# კელი დეგნანი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

*აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ხალვაშსა და სტუდენტებს შეხვდა*

ამერიკის ელჩი ახალგაზრდებს მიესალმა და მიმართვისას ხაზი გაუსვა საქართველოსთან მრავალწლიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას. ელჩმა ისაუბრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ და მიმდინარე საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებზე. აშშ-ის მხარდაჭერით ბსუ-ში ხორციელდება პროგრამები სამართალმცოდნეობის, საბაზისო განათლების, სამოქალაქო განათლების, ტექნოლოგიების, ინგლისური ენის შესწავლის, სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებით.



შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ამერიკის ელჩისთვის მათთვის საინტერესო საკითხებზე დაესვათ შეკითხვები. კითხვები ეხებოდა დემოკრატიულ პრინციპებს, განათლების სისტემას, გაცვლით პროგრამებს, ახალგაზრდების როლს დემოკრატიის მშენებლობის პროცესში, საქართველოს გეოპოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს.

„ძლიერ დემოკრატიას ენიჭება ძალიან დიდი მნიშვნელობა, როცა ვსაუბრობთ ნატოს წევრობაზე, სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას საქართველოში, მათ შორის, ძლიერი სასამართლო სისტემის მშენებლობას. ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი, ეს გასაკვირი არაა - ძლიერი დემოკრატია არის ერთ-ერთი საუკეთესო თავდაცვის საშუალება ქვეყნისთვის“, - აღნიშნა სტუდენტებთან შეხვედრისას აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა.

ბსუ-ის რექტორმა მერაბ ხალვაშმა კელი დეგნანს გააცნო უნივერსიტეტში აშშ-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები და გამოცემული სახელმძღვანელოები, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

# მეოთხედი საუკუნეც გასულა...

**ცოტნე ცაბაძე 27 48 93**

*1989 წლის 19 აპრილი და 1998 წლის 18 აპრილი ავბედით დღეებად რჩება ხულოს მუნიციპალიტეტის ისტორიაში. 29 ადამიანი ემსხვერპლა იმ დღეებში ბუნების გაწრისხებას ჩანჩურხევსა (წაბლანა) და სატბაოში (ვაშლოვანი)*

საზოგადოება, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყოველწლიურად იხსენებს ტრაგედიის დღეებს და პატივს მიაგებს დაღუპულთა ხსოვნას.

25 წლის წინ დატრიალებული ტრაგედია სატბაოს უბანში გაიხსენეს. აქ სტიქიისგან განწირული 52 წლის დარიკო აბულაძის მეუღლე, 83 წლის ნოდარ აბულაძე დაგვხვდა. დარიკო 5 წლის შვილიშვილთან ერთად ჩაიყოლა კარას მთიდან წამოსულმა მიწის მასამ. მათთან ერთად სტიქიას ემსხვერპლნენ: გურამ გელაშვილი, ჯემალ შავაძე, მერაბ დეკანაძე და ზურაბ ბასილაძე.

ტრაგედიის ადგილი ყვავილებითა და გვირგვინით შეამკეს და დაღუპულები გაიხსენეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, მერის მოადგილე თამაზ აბაშიძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძემ, ღონისძიების წამყვანმა ზაურ აბაშიძემ, ჯემალ შავაძის შვილიშვილმა თომა შავაძემ.



ოქრუაშვილების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლიტერატურული მონტაჟი წარმოადგინეს.

შარშან სტიქიური უბედურების ადგილზე სკვერი მოეწყო, გაკეთდა მემორიალური დაფა. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, სკვერის კეთილმოწყობისა და ხორუმის მოცეკვავეთა მონუმენტის დადგმის ინიციატორები არიან პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე და ბიზნესმენი ენრიკე (გრიგოლ) ბერიძე. მათ ახლობლების მადლობა დაიმსახურეს.

# რას ითვალისწინებს ცვლილება პირველკლასელთა რეგისტრაციაში?

**ნანა აბულაძე 591 98 59 17**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1-ელ ნოემბრამდე შეუსრულდებათ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესულ ცვლილებაზე, რომელიც 2023-2024 სასწავლო წლისთვის ამოქმედდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ისაუბრა. გიორგი ამილახვარის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი სამინისტროში მშობლების მიერ გაკეთებული არაერთი განცხადება გახდა, რომლებიც დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკის მარეგულირებელი ნორმის გადახედვას ითხოვდნენ. მინისტრის თქმით, კანონპროექტის მიღებით, როგორც ბავშვებს, ასევე მათ მშობლებს უფლება ექნებათ, გააკეთონ არჩევანი, გააგრძელონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღება თუ დარეგისტრირდნენ პირველკლასელებად. უწყების ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტი კანონპროექტს დაჩქარებული წესით განიხილავს, რადგან 2023-2024 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია 2023 წლის 6 მარტიდან 2023 წლის 20 მარტის ჩათვლით განხორციელდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ იმ სსსმ ბავშვებისთვის, ვისაც 6 წელი უსრულდებათ 2023 წლის 1-ელ ოქტომბრამდე. ცვლილების შემდეგ 1-ელ ნოემბრამდე დაბადებულ სსსმ ბავშვებს მიეცემათ დამატებითი რეგისტრაციის საშუალება და პირველ კლასში ჩარიცხვის შესაძლებლობა. ცნობისთვის: რეგისტრაციის მეორე ეტაპი 2 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით იქნება შესაძლებელი, მესამე ეტაპი - საყოველთაო რეგისტრაცია 17 მაისიდან დაიწყება და 9 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო მეოთხე ეტაპის რეგისტრაცია 28 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით სკოლებში განხორციელდება. აღნიშნულ ეტაპზე დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე ან წინა ეტაპებზე გამოთავისუფლებულ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ პირველ, მეორე და მესამე ეტაპებზე.



# სპორტული სიახლეები

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

ერევანში ჩატარდა სომხეთის დამსახურებული მწვრთნელის სუზანა ზახარიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც ბათუმელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გოგონათა შორის პირად შეჯიბრში, ბათუმის სპორტის სასახლის სპორტსმენი მარიამ გორგაძე ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ვულოცავთ მარიამსა და მის მწვრთნელს ავთანდილ მენაბდეს ამ გამარჯვებას და მორიგ წინსვლას ვუსურვებთ.

ერევანში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ატაცში რამინ შამილიშვილმა (55 კგ) 109/111/113 კილოგრამის აწევა შეძლო და ამ დისციპლინაში ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ქართველმა ძალოსანმა აკვრაში 132/136 კილოგრამი დაძლია და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, ხოლო ორჭიდში მოგროვილი 249 კილოგრამით ვერცხლის მედალი მოიპოვა.

2023 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში აჭარის რეგიონის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის იბრძოლებენ: ფრიდონ აბულაძე (65 კილოგრამი წონითი კატეგორია), ლერი აბულაძე (63კგ), რამაზ ზოიძე (72კგ), გელა ბოლქვაძე (82კგ), ლაშა გობაძე (87კგ), ხოლო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა რიგებში შოთა ფარტენაძე (61კგ) გამოვა.







# უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, 2022 წლის თებერვალში, რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, უკრაინამ ტყვეობიდან 2000-ზე მეტი უკრაინელი სამხედრო გაათავისუფლა. „24 თებერვლიდან უკრაინამ რუსეთის ტყვეობიდან 2 235 უკრაინელი მამაკაცი და ქალი დააბრუნა. ყველა გვახსოვს, ყველა მათგანს დავაბრუნებთ“, - დაწერა ზელენსკიმ „ტელეგრამზე“. შეგახსენებთ: ტყვეების სააღდგომო გაცვლის შედეგად, უკრაინამ 130 სამხედრო მოსამსახურე გამოიხსნა.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ყოველთვის, როდესაც უკრაინისთვის პარტნიორების მხრიდან იარაღის მიწოდება ფერხდება, უკრაინელ სამხედროებს ეს სიცოცხლის ფასად უჯდებათ. „ხელი მოვაწერე სახელმწიფო ჯილდოებით უკრაინის შეიარაღებული ძალების 127 მებრძოლის დაჯილდოებას, მათგან 68 სიკვდილის შემდგომ დაჯილდოვდა. ძალიან მნიშვნელოვანია ამის გაგება: ყოველ ჯერზე, როცა გვესმის, რომ იარაღის დაპირებული მოწოდება ფერხდება, ყოველ ჯერზე, როდესაც ჩნდება ეჭვი უკრაინისთვის მისაწოდებელი იარაღის ტიპზე, დიაპაზონზე ან სხვა მახასიათებლებზე - ეს ნიშნავს, რომ უკრაინელი მეომრები თავიანთ სიცოცხლეს სწირავენ, რათა იყოს დრო, რომელიც იხარჯება დარწმუნებაზე, რომ აუცილებელი იარაღის მიწოდება შედგეს“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ რუსეთმა ომი უნდა წააგოს და ეს უკრაინისა და მისი პარტნიორების ერთობლივი პასუხისმგებლობაა.

* * *

რუსული ძალები ბახმუტში მძიმე არტილერიის გამოყენებით დაბომბვას და საჰაერო დარტყმებს აძლიერებს, - ამის შესახებ უკრაინის სახმელეთო ჯარების სარდალმა ალექსანდრ სირსკიმ განაცხადა. „ამჟამად მტერი აძლიერებს მძიმე არტილერიის მოქმედებას, ავიაიერიშების რაოდენობას და ქალაქს ნანგრევებად აქცევს“, - აღნიშნა უკრაინელმა გენერალმა. მისი თქმით, რუსეთი კვლავ ცდილობს ბახმუტის ნებისმიერ ფასად აღებას, მაგრამ ქალაქისთვის ბრძოლაში მნიშვნელოვან ზარალს განიცდის. ცნობისთვის: გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ბოლო ანგარიშის თანახმად, არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ რუსეთმა შეამციროს ჯარების რაოდენობა და შეტევითი მოქმედებები დონეცკის ირგვლივ და ბახმუტის სექტორისკენ გადაიტანოს.

* * *

ნატოს მოკავშირეებმა უკრაინას მეტი იარაღი და საბრძოლო მასალა უნდა მიაწოდონ, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა. იენს სტოლტენბერგმა ეს განცხადება სოციალურ ქსელში გავრცელებულ პენტაგონის იმ დოკუმენტზე კომენტირებისას გააკეთა, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკრაინას საჰაერო თავდაცვის საბრძოლო მასალა, შესაძლოა, მალე ამოეწუროს. ალიანსის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ სამხედრო დახმარება გადამწყვეტია ტერიტორიების დასაბრუნებლად უკრაინელების დასახმარებლად. „ვაღიარებთ უზარმაზარი რაოდენობით იარაღს, საბრძოლო მასალას, მარაგებს, რომელიც უკვე მიეწოდება უკრაინას, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ უკრაინელები არიან ისეთ მდგომარეობაში, სადაც მათ შეუძლიათ გაათავისუფლონ, დაიბრუნონ ტერიტორიები“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა – ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი ინტეგრაცია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პერიოდში, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა. იკვეთება როგორც პერსპექტივები ევროინტეგრაციის კუთხით, ასევე გამოწვევები საგარეო პოლიტიკაში: რუსეთის მცოცავი ოკუპაცია, აგრესიული ქმედებები, რომ აღარაფერი ვთქვათ, ფართომასშტაბიან ომზე უკრაინაში. დასავლეთი ქმედით ნაბიჯებს დგამს არა მხოლოდ ოფიციალური კიევის მხარდაჭერის, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვისაც. ყოველ შემთხვევაში, ევროსაბჭოს მხრიდან მინიშნებები კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე ამის მკაფიო მაგალითია, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ქვეყანაში უნდა აღმოიფხვრას პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, გაგრძელდეს დემოკრატიული რეფორმები და რაც მთავარია, მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ ურთიერთშეთანხმებულად იმოქმედონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი* ***გიგა ფარტენაძე*** *გვესაუბრება.*

**- იდეალური ხელისუფლება არ არსებობს, მით უმეტეს თუ ქვეყანას მრავალი გამოწვევა აქვს, მაინც როგორ დაახასიათებდით არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას?**

- რა თქმა უნდა, იდეალური ხელისუფლება არ არსებობს, თუმცა ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობას განსაზღვრავს მისი რეაქცია საზოგადოების წინაშე არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვადასხვა მიმართულების გამოწვევებზე. დღევანდელი საქართველოს შიდა თუ გარე პოლიტიკური ვითარების შეფასებისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემულობა ნამდვილად არ არის სახარბიელო. კვლავ აქტიურად მიდის ანტიდასავლური კამპანია, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობასთან დაახლოებული პოლიტიკური ჯგუფისგან მომდინარეობს. ასევე, კონკრეტული მედია საშუალებებიდან ისმის მოწოდებები და განცხადებები საზოგადოებაში ევროსკეპტიციზმის სტიმულირება ნაციონალიზმის იდეის გამოყენებით, რაც ქართველი საზოგადოების 85 პროცენტის გაცხადებულ ნებას ეწინააღმდეგება და კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზაციას არა მხოლოდ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, არამედ საზოგადოების დიდ ნაწილშიც. კვლავ პრობლემად რჩება ოპოზიციური პარტიების ერთიანობა, დასანანია, რომ ისინი წინა პლანზე პარტიულ ინტერესებს აყენებენ, რაც ფაქტობრივად პოლიტიკური ჯგუფებისადმი საზოგადოების ნდობას ამცირებს და ნიჰილიზმს ზრდის. რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ უმუშევრობა კვლავ დიდ გამოწვევად რჩება, რაზეც მეტყველებს საქართველოს მოქალაქეების მიგრაცია სხვადასხვა დასავლურ ქვეყანაში თავის გადარჩენისა თუ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით... ქვეყნისთვის ამ ომით გამოწვეულ ეკონომიკურ სარგებელზე თუ ვისაუბრებთ (ტურიზმი, საბანკო ტრანზაქციები, ომს გამოქცეული რუსი მოქალაქეების ოპერირება ქართულ ბაზარზე), შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა, თუმცა ეს ყველაფერი იმ ომის შედეგია, რომელიც ჩვენს მეგობარ სახელმწიფოში მიდის. ომის დასრულებით გამოწვეულმა უარყოფითმა ეფექტმა კი შეიძლება გადააჭარბოს დღევანდელ ეკონომიკურ სარგებელს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანმიმდევრული და ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო გზის ეფექტურად მშენებლობა, ანაკლიის პორტის მშენებლობის განახლება და დაჩქარებულად ექსპლუატაციაში შესვლა, სარკინიგზო მიმოსვლის განვითარება (როგორც ტვირთმზიდის, ასევე სამოქალაქო დანიშნულების) თურქეთის რესპუბლიკასთან და ა.შ.

**- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება და ოპოზიციის ბრალდებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით უსაფუძვლოა, ამაზე რას იტყვით?**

- ნებისმიერ ხელისუფლებას აქვს თავისი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ. ბოლო წლების განმავლობაში, ქართული ეკონომიკის განვითარებას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ციფრები იზრდება მაშინ, როდესაც რუსეთი იწყებს ომს უკრაინასთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ვერ ჩაითვლება წინასწარ დაგეგმილ, თანმიმდევრულ ეკონომიკურ გეგმად, რადგან ომის წინასწარმეტყველება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ოპოზიციის კითხვები და კრიტიკა რიგ შემთხვევაში ლეგიტიმურია და მნიშვნელოვანიც. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრს თუ გადავხედავთ და პოლიტიკურ საკითხთა დღის წესრიგს დავაკვირდებით, ეკონომიკაზე საუბარს ნაკლებად დავინახავთ, რადგან თითოეული პოლიტიკური ჯგუფი თავისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, რაც ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთმანეთისგან უფრო აშორებს, ვიდრე აახლოებს.

**- დამეთანხმებით, რომ ოპოზიციის დანიშნულება ხელისუფლების ქმედებების გაკონტროლება და რჩევების მიცემაა, ამ მიმართებით ოპოზიციური სპექტრი რამდენად თანმიმდევრული და ადეკვატურია სახელმწიფოებივი პოზიციის თვალსაზრისით?**

- გეთანხმებით, რომ ოპოზიციის დანიშნულება ხელისუფლების საქმიანობის გაკონტროლება, რჩევების მიცემა და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ კონსოლიდაციაა - ეს ფორმულა მოქმედებს პოლიტიკურად სტაბილურ ქვეყნებში, რასაც საქართველოზე, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით. ქართული პოლიტიკური ჯგუფები „ჩასაფრებულ“ პოზიციაში უფრო არიან ერთმანეთის მიმართ, ვიდრე თანამშრომლობაზე ორიენტირებულნი, მათ ერთმანეთის შეცდომები უფრო ახარებთ, ვიდრე საერთო გამარჯვებების მოპოვება, რაც დაბალ პოლიტიკურ კულტურაზეც მეტყველებს. რაც შეეხება ოპოზიციის ადეკვატურ ქმედებას სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ მათი როლი ე.წ. აგენტების შესახებ კანონის უკან გაწვევაში, ვიხილეთ ერთიანი ოპოზიცია, რომელიც იცავდა ქართულ ეროვნულ იდეას - თავისუფალ და ევროპულ მომავალს, ხელისუფლება კი პირიქით მოქმედებდა, თუმცა საბოლოო ჯამში მათი მხრიდან კანონის უკან გაწვევა შეფასდა ძალიან სწორ და რაციონალურ ნაბიჯად.

**- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოთხი ქართველი მოსამართლის დასანქცირების გადაწყვეტილება მიიღო, როგორ შეაფასებთ ამ ნაბიჯს?**

- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკური აქტია და არა - სამართლებრივი. რა თქმა უნდა, სტრატეგიული პარტნიორის მიერ შენი ქვეყნის მოსამართლეების დასანქცირება იმაზე მეტყველებს, რომ დროა, რაღაც შეიცვალოს სასამართლო სისტემაში და ეს უნდა მოხდეს დათქმების თუ პირობების გარეშე. მტკიცებულებების წარდგენა აშშ-ის მხრიდან, რა თქმა უნდა, საინტერესო სასმენი იქნება, თუმცა არ უნდა ვითხოვდეთ ამას. პირიქით, უნდა შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია და ჩვენვე გავცეთ პასუხი ყველა საეჭვო შეკითხვას, ვაჩვენოთ მზაობა საკითხის გამჭვირვალედ გამოძიებისთვის.

**- ექსპერტები არც ოპოზიციას ინდობენ და აღნიშნავენ, რომ იგი ფრაგმენტირებულია, თანაც „ნაცმოძრაობაზე“ მერაბიშვილის ფარულ გავლენაზე ალაპარაკდნენ, ეს რისი მანიშნებელია?**

- ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება აღარ სჭირდება იმ სურათის და რეალობის აღქმას, რაც ქართულ ოპოზიციურ ორბიტაზე მიმდინარეობს. ოპოზიციურობის ფრაგმენტულობაზე მეტყველებს ისიც, რომ დღეს ქართულ რეალობაში ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის ნაწილი ადრინდელზე საგრძნობლად დიდია, თუმცა არა რომელიმე ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ.

**- არანაკლებ საყურადღებო იყო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში, მან როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის მიმართ კრიტიკა არ დაიშურა, რას ფიქრობთ?**

- საქართველოს პრეზიდენტის ბოლო საპარლამენტო გამოსვლა შეგვიძლია მივიჩნიოთ იმის სტანდარტად, თუ როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი საპარლამენტო მმართველობის პირობებში. დიახ, მას აქვს ფორმალური ხასიათის დატვირთვა ქართული პოლიტიკური დღის წესრიგში, თუმცა ის უნდა მოქმედებდეს ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ისაუბროს და შეაფასოს როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური ჯგუფების წარმატებები, ასევე აკრიტიკებდეს მათ საჯაროდ თუ საამისო მიზეზს ხედავს.

**- საქართველოს პრეზიდენტმა ხელისუფლებას და ოპოზიციას ეროვნული თანხმობისკენ მოუწოდა, თქვენი აზრით, რამდენად გაითვალისწინებენ ისინი პრეზიდენტის გზავნილს, მით უფრო რომ დასავლეთმაც იგივე მოუწოდა მხარეებს?**

- ეროვნული თანხმობა არის ის, რაც ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვების გზაზე ყველაზე დიდ და ეფექტურ იარაღად შეუძლია გამოიყენოს. მმართველმა და ოპოზიციურმა ძალებმა უნდა გადადონ თავიანთი პირადი ინტერესები თუ ანგარიშსწორება გვერდით და საქართველოს ისტორიულ მონაპოვარს და მოქალაქეების გაცხადებულ ნებას ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში სრულფასოვან ინტეგრაციასთან დაკავშირებით გაერთიანებით უპასუხონ, რადგან ეს არის საქართველოს გამარჯვება და მას ვერცერთი პოლიტიკური პარტია საკუთარ პოლიტიკურ ანგარიშზე ვერ ჩაიწერს დისკრეციულად.

**- ცხადია, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია კანდიდატის სტატუსის მიღება, ამ მხრივ რა მოცემულობა გვაქვს დღეს?**

- მოცემულობა ძალიან ნათელია - 12 რეკომენდაციის შესრულება. საქართველოს მოსახლეობის დაკვეთაა ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი ინტეგრაცია, რაც წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებით უნდა გაფორმდეს. სწორედ, რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ უნდა გამოიჩინონ მაღალი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და ყველა ნაბიჯი მიმართონ ამ მიზნის რეალობად გარდაქმნისთვის. „აგენტების“ შესახებ კანონის პირველი მოსმენით მიღებაზე საზოგადოების რეაქციამ და პროტესტმა ყველა შეკითხვას გასცა პასუხი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებისთვის, - ქართველი ხალხის დაკვეთა არის ევროინტეგრაცია და დასავლური კურსი, - ახლა ჯერი ხელისუფლებაზე და ყველა იმ პოლიტიკურ ჯგუფზეა, ვინც ხელოვნურად ქმნის დაბრკოლებებს 12 რეკომენდაციის შესრულების გზაზე.

**- მმართველი პარტია ამბობს, რომ ოპოზიცია უშლის ხელს კანდიდატის სტატუსის მიღებაში, რადგან სურთ ქვეყანაში გადატრიალება მოაწყონ...**

- ხელისუფლებას შეუძლია 12 რეკომენდაციის შესრულებით წერტილი დაუსვას შეთქმულების ყოველგვარ თეორიას, თუმცა გადატრიალებაზე საუბარი სპეკულაციად მიმაჩნია, რადგან ჯერ ერთი, ამის რესურსი არ გააჩნია ოპოზიციას და მეორეც, მმართველ პარტიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს არაერთხელ უსაუბრია, მაგრამ რეალობაში მსგავსი არაფერი მახსენდება.

**- აშკარად ვხედავთ, რომ პარტიები, გარკვეულწილად, საარჩევნო მარათონში ჩაებნენ, იქმნება კოალიციები ტრიოს („დროა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „გირჩი მეტი თავისუფლება“) სახით, ცალკე „ნაცმოძრაობა“ აქტიურობს... რამდენად მოსალოდნელია 2024 წელს ქვეყანას კოალიციური მთავრობა ჰყავდეს?**

- დავიწყოთ ე.წ. სამეულის გაერთიანებით, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგია, თუმცა არ არის ნათელი მათი საერთო გეგმა თუ როგორ, რა ფორმით, რა პროგრამით აპირებენ ელექტორატის წინაშე წარდგომას. ისინი მოქმედებენ ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების საპასუხოდ და არა მათი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნით. რაც შეეხება „ნაცმოძრაობას“, მიმაჩნია, რომ აქ სიტუაცია უფრო რთულად არის, რადგან შიდა დაპირისპირებამ თავმჯდომარის არჩევნების დროს თავისი კვალი დატოვა და მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინი არსებობდა, ყველაფერი უფრო ნათელი გამხდარიყო არჩევნების დასრულების შემდეგ, მოხდა პირიქით. ამ პარტიამ უფრო დააბნია საზოგადოება და თავისი ელექტორატიც ნეგატიურად განაწყო. მოლოდინი მაქვს, რომ გასულ წლებთან შედარებით 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა რიცხვი კიდევ უფრო შემცირდება. კარგი იქნება თუ 2024 წლის არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობა გვეყოლება, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს ბევრად გაზრდის.

***„ქართული პოლიტიკური ჯგუფები „ჩასაფრებულ“ პოზიციაში უფრო არიან ერთმანეთის მიმართ, ვიდრე თანამშრომლობაზე ორიენტირებულნი, მათ ერთმანეთის შეცდომები უფრო ახარებთ, ვიდრე საერთო გამარჯვებების მოპოვება, რაც დაბალ პოლიტიკურ კულტურაზეც მეტყველებს***

იხ. მე-5 გვ.

## უცხოეთი

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრება, დასავლელი მოკავშირეები არ შეწყვეტენ უკრაინის მხარდაჭერას, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისი თქმით, რუსეთი ცდილობს, ძირი გამოუთხაროს უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემის საფუძვლებს, როდესაც არღვევს ან გამოდის შეიარაღების კონტროლის კუთხით არსებული საერთაშორისო შეთანხმებებიდან. „ეს უპასუხისმგებლო ქმედებები მიმართულია იქითკენ, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა უკრაინის მხარდაჭერისგან თავი შეიკავონ. თუმცა ეს ქმედებები არ იმუშავებს, სანამ ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით რუსეთის მუქარებს, ჩვენ ვერავინ შეგვაშინებს“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა.

* * *

პენტაგონიდან გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტების თანახმად, აშშ-ში მიიჩნევენ, რომ გაეროს გენერალური მდივანი სიამოვნებით ატარებს კრემლის ინტერესებს. დოკუმენტებში მოყვანილია ანტონიო გუტერეშისა და მისი მოადგილის პირადი საუბრები, მათ შორის „მარცვლეულის შეთანხმების“ გაგრძელების თაობაზე. დოკუმენტების თანახმად, ამერიკული მხარე თვლის, რომ გაეროს გენმდივანი ზედმეტად კეთილგანწყობილია რუსეთის მიმართ და ძალისხმევას არ იშურებს მოსკოვის საექსპორტო შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის. „ასეთი ქმედებები არ შეესაბამება შეერთებული შტატების იმ ვალდებულებებს, რომლებიც ჩამოთვლილია გაეროს წესდებასა და კონვენციაში“, - აღნიშნავენ გაეროს ოფისში.

* * *

ევროპა აღარ არსებობს და ის ამერიკის პაიკი გახდა, - განაცხადა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ. „არ არსებობს ცნება ევროპა. არსებობს ამერიკა, ევროპა კი ამერიკის კოლონაში მხოლოდ მატარებელია. მასში არაფერია განსაკუთრებული. ევროპული ქვეყნების მოსახლეობა ბერდება, მათ ექმნებათ ეკონომიკური სირთულეები და ეს პროცესი გაგრძელდება. ამერიკა სანდოობას კარგავს, ის მთელ მსოფლიოს ეზიზღება“, - განაცხადა სოილუმ.

* * *

ვაპირებთ, უკეთ დავიცვათ საზღვაო ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია, ვინაიდან პენტაგონის მხრიდან ჯაშუშობის სამიზნე გავხდით, - განაცხადა მექსიკის პრეზიდენტმა ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორმა. პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტების გაჟონვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მექსიკის არმიასა და საზღვაო ძალებს შორის დაძაბულობა იყო. ამის გამო მექსიკის პრეზიდენტმა შეიარაღებულ ძალებს ინფორმაციის გასაიდუმლოება უბრძანა.

* * *

ბულგარეთმა უკრაინიდან აგროპროდუქტების იმპორტი აკრძალა. „იმედი გვაქვს, ბრიუსელი გაიგებს ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის პოზიციას. ჩვენ სოლიდარულები ვართ უკრაინის, მაგრამ ბულგარელი ფერმერების გაბანკროტება მას ვერაფრით დაეხმარება“,- განაცხადა ქვეყნის პრემიერმა გილიბ დონევმა. უკრაინიდან იაფი აგროპროდუქციის ექსპორტი მთელ რიგ ქვეყნებში მასობრივი საპროტესტო აქციების მიზეზი გახდა. ფერმერები კეტავენ გზებს, ვინაიდან უკრაინული მარცვლეულის იმპორტის გამო მათ საკუთარი აგროპროდუქციის რეალიზება არ შეუძლიათ. უკრაინული მხარის ინფორმაციით, პოლონეთმა გადაწყვეტილება უკვე შეცვალა.

მოამზადა
ია შველიძე

# „ოპოზიციას მეტის გაკეთება შეუძლია, მჭიდრო თანამშრომლობა და ერთმანეთთან კოორდინაცია გამარჯვების ერთადერთი ფორმულაა“

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80



*ოპოზიციურ ფლანგზე რამდენიმე ანგარიშგასაწევი ძალაა, რომლებიც გარკვეულწილად, მოსახლეობის ნაწილის ინტერესებს გამოხატავენ, მათ შორის, უმთავრესი „ნაციონალური მოძრაობაა“, მთავარი ოპოზიციური ძალა, თუმცა ბოლო დროს პარტია დატოვა რამდენიმე გავლენიანმა ლიდერმა. საუბრობენ იმაზეც, რომ შესაძლოა „ნაცმოძრაობა“ ყოფილმა თავმჯდომარე ნიკა მელიამ და მისმა გუნდმაც დატოვონ. პარტიასა და, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „აჭარას“ „ნაცმოძრაობის“ წევრი, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი* ***გიორგი კირთაძე*** *ესაუბრა.*

**- ბატონო გიორგი, ვიდრე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს განვიხილავდეთ, მანამდე მინდა გკითხოთ, რა ხდება თქვენს პარტიაში? ცხადია, ურთიერთდაპირისპირებაა „ნაცმოძრაობაში“.**

- სამწუხაროდ, პარტია ამ პერიოდისთვის ორადაა გაყოფილი. ის მოლოდინი, რაც იყო არჩევნების დასრულების შემდეგ, რომ პარტია ისევ შეძლებდა ერთიან, ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებას, ჯერ ბოლომდე მიღწეული არ არის, თუმცა იმედს ვიტოვებ, ყველაფერი კარგად იქნება და „ნაციონალური მოძრაობა“ ისევ შეძლებს, მთავარი ოპოზიციური, ძლიერი პოლიტიკური გუნდის სახით წარდგეს საზოგადოების წინაშე. ვისურვებდი უკეთეს სიტუაციას „ნაციონალურ მოძრაობაში“.

**- თქვენ, გარკვეულწილად, მელიას გუნდის წევრი ხართ. პარტიის ახალი ლიდერის საქმიანობას როგორ აფასებთ? ამბობენ, პარტიაში გავლენები მერაბიშვილმა განიმტკიცაო. ამაზე რას ფიქრობთ?**

- ვფიქრობ, არსებობს რესურსი, რომ პარტიაში სწორად წარიმართოს დიალოგი და შევძლოთ ერთობლივად პოზიციონირება საზოგადოებასთან. შევეცდები, ამ თემის სიღრმეებში არ ჩავიდე. ლევან ხაბეიშვილი არის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, რომელიც უდავოდ მაღალი ლეგიტიმაციითაა არჩეული. მიმაჩნია, რომ მას ძალიან დიდ გამოწვევებთან უწევს ახლა გამკლავება და ვისურვებ, მათ თავი გაართვას. გამოწვევა მხოლოდ ჩვენს პარტიას კი არა, ზოგადად, ქვეყანას აქვს. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტია, მთავარი პასუხისმგებელია იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მართლმსაჯულება დასრულდეს და ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს. ის ისტორიული შანსი ევროპასთან ინტეგრაციის, რაც ახლა აქვს ჩვენს ქვეყანას, ხელიდან არ უნდა იქნას გაშვებული. ამ მიმართულებით კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აქვს და იმედია, ამას ძალიან კარგად აცნობიერებს ჩვენი პარტიის თავმჯდომარე. მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ მას. რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს. ვისურვებდი, უკეთ ყოფილიყო, მაგრამ ვნახოთ. ალბათ ჯერ კიდევ არის რაღაც დრო და რესურსი საიმისოდ, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდეს.

**- არსებობს მოსაზრება, რომ ნიკა მელიას გუნდი, მათ შორის თქვენც, პარტიის დატოვებას აპირებთ...**

- ამას ამბობენ დიდი ხანია... მიმაჩნია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯერ კიდევ აქვს რესურსი, ამ ქვეყნის მომავლის პარტიად იქცეს, თუმცა ამისთვის საჭიროა, შევძლოთ თამაშის სწორი წესების დამკვიდრება, პირველ რიგში, პარტიაში.

**- რას გულისხმობთ?**

- კიდევ ერთხელ ვამბობ, ღიად და მკაფიოდ, ჩვენ არჩევნების დასრულებისთანავე ვთქვით, რომ წარმატებას ვუსურვებთ გამარჯვებულ, ასე ვთქვათ, მხარეს, ბოლომდე მზად ვართ, ჩავერთოთ ყველა აქტივობაში, რასაც ისინი დაგეგმავენ და ასეც არის. ყველა აქტივობა, რაც დაიგეგმა ხაბეიშვილის მიერ, იქნებოდა ეს აქციები რეგიონებში თუ თბილისში, მათ შორის, 9 აპრილის აქციაზე პირადად ვიყავი, ასეც ვაპირებ გაგრძელებას. იმ აქტივობებში, სადაც ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი, მიხეილ სააკაშვილის და სხვა პოლიტიკური პატიმრების თავისუფლების საკითხი წყდება, ყოველთვის ბოლომდე ვიქნებით ჩართულები, ამიტომ, წასვლას კი არ ვაპირებ, პირიქით, ბევრი განსხვავებული პოლიტიკური ლიდერის პარტიაა „ნაციონალური მოძრაობა“ და იმედს ვიტოვებ, რომ ახალი მენეჯმენტი შეძლებს ამის სწორად გაცნობიერებას. მე და ხაბეიშვილი რაღაც საკითხზე სხვადასხვანაირად ვფიქრობთ, რაც არ უნდა ნიშნავდეს, რომ ლევან ხაბეიშვილი წავიდეს პარტიიდან, ნიკა მელია ან გიორგი კირთაძე. პირიქით, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებმა, რომლებსაც საერთო მიმართულება და ღირებულებები გვაერთიანებს, უნდა შევძლოთ პარტიაში თანაარსებობა. ეს ღირებულებებია ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალი და ხედვა იმისი, თუ რა არის ამისთვის გასაკეთებელი. პარტიაში ყველანი ვთანხმდებით, რომ პოლიტიკური მართლმსაჯულება უნდა დასრულდეს, რომ ევროინტეგრაცია მნიშვნელოვანია, რომელსაც მოჰყვება სასამართლო რეფორმა, დეცენტრალიზაცია და სხვა. შეიძლება ვიკამათოთ, მაგალითად, აქცია 9 აპრილს სჯობდა თუ 31 მარტს, ან, საერთოდ, ეს აქცია მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ მიერ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული თუ პირიქით - ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ, მაგრამ ამ კამათმა არ უნდა გამოიწვიოს პარტიაში ახალ მენეჯმენტსა და დანარჩენ ადამიანებს შორის გაუცხოება. იმედია, ასე არ მოხდება.

**- თქვენ სააკაშვილი პოლიტიკურ პატიმრად მოიხსენიეთ, მმართველი გუნდი ამბობს, რომ მან პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულის გამო. რამდენად გამართლებული იყო მისი ჩამოსვლა საქართველოში?**

- იმას, რასაც ამბობენ ბიძინა ივანიშვილი და ვლადიმერ პუტინი, არ იზიარებს დანარჩენი მსოფლიო და ისე, როგორც ქართული საზოგადოების დიდი უმრავლესობა, მიხეილ სააკაშვილს მიიჩნევს პოლიტიკურ პატიმრად. რა თქმა უნდა, ჩემთვისაც ის, ცალსახად, პოლიტიკური პატიმარია. იმიტომაც ზის ციხეში, რომ ამ ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთა, თავი არ დახარა პუტინის წინაშე, იომა აგვისტოში. მაშინ, როცა რუსი ტანკით მოდიოდა, კი არსად გაქცეულა, პირიქით, ქვეყნის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და სუვერენიტეტი გადაარჩინა! ამიტომაც ისჯება დღეს! ამ ყველაფრიდან გამომდინარე, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, არ შეიძლება ადამიანმა გაამართლოს მისი ჩამოსვლა, იმიტომ, რომ ის მართლა, პირდაპირი მნიშვნელობით, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, ნებისმიერ წამს, როგორც ექიმები ამბობენ, შეიძლება მისი სიცოცხლე ფატალურად დასრულდეს. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ამ გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება არ იყო სწორი, თუმცა პოლიტიკურ ბრძოლაში მიხეილ სააკაშვილი ყოველთვის წინა ხაზზე იდგა, ის კულისებიდან არასდროს მართავდა, სხვებს კი არ აძლევდა დავალებას, პირიქით, ბრძოლისა და თავდადების მაგალითს აჩვენებდა ყველას, ამ გადასახედიდან კი არც არის გასაკვირი, რომ ის ქვეყანაში ჩამოვიდა.

**- ცხადია, ხელისუფლება და ოპოზიცია განსხვავებულად აფასებენ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. ამ მხრივ, „ნაცმოძრაობის“ შეფასებები რამდენად სამართლიანია?**

- ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვსო, სულ ამას გაიძახიან. ჩვენს ქვეყანაში და ქალაქში ხომ ვმოძრაობთ, კონკრეტულ ადამიანებს ვხვდებით და ვხედავთ მათ პრობლემებს, როგორ შეიძლება, თვითკმაყოფილ მთავრობის წევრებს ვუყუროთ?! ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. სიღარიბე ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, ყოველდღიურად იზრდება. ყველაზე ცუდი რაც არის, იმ მასშტაბის უიმედობა და ნიჰილიზმი გვაქვს, ყველა ვფიქრობთ ქვეყნის დატოვებას. წარმოგიდგენიათ, რა დღეშია ქვეყანა?! ყველა აქედან გაქცევას ცდილობს. იმედი მაქვს, არც მე და არც ჩვენი ახლობლები, ვინც დარჩნენ, ამ ქვეყანას არ დატოვებენ და ვინც არიან წასულები, ისინიც დაბრუნდებიან, მაგრამ ამ ფონზე როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ რაღაც ქვეყანაში კარგადაა.

**- მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ოპოზიციის შენიშვნები, მით უფრო, „ნაცმოძრაობის“, უსაფუძვლოა და თანაც თქვენი პარტია ქვეყანაში დესტაბილიზაციას გეგმავს.**

- „ქართული ოცნება“ გვეუბნება, რომ ერის ისტორიული არჩევანი, ევროპისკენ სვლა, რასაც თაობები შეეწირა, არ არის პრიორიტეტი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახლა „მშვიდობა“ ანუ რუსეთთან ახლოს ყოფნა. ყველა ის ადამიანი, ვინც ამბობს, რომ არ ეგუება ჩვენი ქვეყნის საგარეო ვერტიკალის რუსეთისკენ შებრუნებას, მათთვის არის რადიკალი ოპოზიციონერი, რომელსაც სურს ამ ქვეყანაში რაღაც ანარქიის მოწყობა. მთავრობა გვეუბნება, რომ უნდა შევეგუოთ არსებულ რეალობას. თუ ამას არ ვეთანხმებით, დესტაბილიზაცია გვინდა?! დესტაბილიზაცია კი არ გვინდა, ჩვენთვის ბუნებრივ, ლოგიკურ, ისტორიულ ადგილას გვინდა იყოს ჩვენი ქვეყანა, ამიტომაც მივდივართ ევროპისკენ და ეს დესტაბილიზაცია კი არა, ეროვნული ინტერესების დაცვაა. არ არის შორს ის დრო, როცა ეს ხელისუფლება წარსულს ჩაბარდება და ისტორია ძალიან სწრაფად შეაფასებს მათ მოღვაწეობას.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიცია ფრაგმენტირებულია, ასევე, სატელევიზიო ოპოზიციად გადაიქცა გარკვეული პოლიტიკური სპექტრი და თუ ასე გაგრძელდა, გაუჭირდება მომავალ არჩევნებში გამარჯვება. ამ მხრივ რა მოცემულებაა და რას გეგმავთ?**

- არჩევნები ჩვენ არა გვაქვს! ამ ქვეყანაში ამის ნათელი მაგალითი ჩვენი ქალაქიც იყო! პირველი, ჩვენ გვაქვს მოსაპოვებელი არჩევნები და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ, სამართლიანობასთან მიახლოებულ არჩევნებშიც კი „ქართული ოცნება“ ქვეყნის მასშტაბით კატასტროფულად დამარცხდება! რაც შეეხება ოპოზიციას და მის სისუსტეს - ქვეყანაში გვაქვს კლასიკური ავტოკრატიული მმართველობა. ავტოკრატიულ მმართველობაში, რა თქმა უნდა, ოპოზიცია არის სუსტი, რადგან მასზე ზემოქმედების ბევრი ბერკეტი აქვს ხელისუფლებას და ამ ყველა ბერკეტს იყენებს ივანიშვილი, ეს არის დაშინება, მოსყიდვა, შანტაჟი... თუმცა ამ პირობებშიც კი ქართულ ოპოზიციას მოეთხოვება უფრო მეტი. მიმაჩნია, რომ ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს თავისუფალი სიტყვა, არსებობს ტელევიზიები, რომლებიც არ არის ბიძინა ივანიშვილის კონტროლქვეშ, იჭერენ ნიკა გვარამიას, სისხლის სამართლის საქმეები აქვს აღძრული, თუმცა, ამის მიუხედავად, ეს ტელევიზიები არსებობენ, არსებობენ ასევე არასამთავრებო სექტორი, საზოგადოებრივი მოძრაობები და პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც უნდა შეძლონ იმგვარი მჭიდრო კოორდინაცია ერთმანეთთან, რომ რეალური წინააღმდეგობა გავუწიოთ „ქართული ოცნების“ პროპაგანდას. მიმაჩნია, რომ ოპოზიციას მეტის გაკეთება შეუძლია მჭიდრო თანამშრომლობით და კოორდინაციით. ეს არის გამარჯვების ერთადერთი ფორმულა, როდესაც ოპოზიცია ერთმანეთს თავს კი არ ესხმის, არამედ პირიქით, სწორად არის ორგანიზებული და „ქართული ოცნების“ პროპაგანდას სწორად უპირისპირდება, საზოგადოებაში აჩენს რწმენას იმისა, რომ წარმოვადგენთ ძალას, ვისაც შეუძლია „ქართული ოცნების“ დამარცხება. მე ერთიან სიას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ მჭიდრო კოორდინაციას, ისეთს, როგორიც იყო ბათუმში, როცა განსხვავებულმა ადამიანებმა შევძელით ერთი მაგიდის ირგვლივ ყოფნა და საზოგადოებისთვის კარგად ახსნა იმისა, რომ ვახტანგ კალოიანი, არმაზ ახვლედიანი, გენრი დოლიძე, ირაკლი კუპრაძე, გიორგი კირთაძე, მიუხედავად განსხვავებული პარტიული კუთვნილებისა, შეძლებენ ერთად მუშაობას. ეს წინასაარჩევნოდ კარგად ვაჩვენეთ.

**- ცხადია, უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღება. დასავლეთიდან ამ ბოლო დროს პოზიტიური სიგნალები ისმის. რას ფიქრობთ, ეს რისი დამსახურებაა?**

- ცალსახად, ეს არის 7-8 მარტის აქციების დამსახურება. ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა დავშორდეთ ევროპას. ამის მიუხედავად, ევროპა არ გაგვწირავს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ამას მართლა იმსახურებს და ხალხმა ეს, მათ შორის, 7-8-9 მარტის აქციებით დაადასტურა. ევროპასთან დაახლოებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება იმ ხალხის დამსახურება, ვინც 7-8-9 მარტს კბილებით იცავდა ამ ქვეყანას.

**- მმართველი გუნდის განცხადებით, რეალურად, ოპოზიცია არაა დაინტერესებული კანდიდატის სტატუსის მიღებით, რომ შემდეგ ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოაწყონ.**

- ამას ხომ კონკრეტული მიზეზი აქვს. ის, რომ კლავ მესამე პრეზიდენტს ციხეში, ის, რომ დამოუკიდებელი ტელევიზიის დირექტორს წარმოუდგენელი ბრალდებით იჭერ, რუსული კანონი, რის მიღებასაც აპირებდნენ, სასამართლოსთან მიმართებაში, თვითმმართველობაში რასაც აკეთებენ, ყველა ეს ნაბიჯი გადადგმულია ერთი მიზნით - შორს ვიყოთ ევროპისგან. ყველამ კარგად იცოდა, რომ ნიკა გვარამიას დაჭერა მაშინ, როცა განიხილება შენი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი, მთავარი წინაღობა იქნებოდა. სწორედ იმიტომ დაიჭირეს გვარამია, რომ ევროპას უარი ეთქვა ჩვენთვის, ხვალ კიდევ უფრო უარესს გააკეთებენ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. რაც უფრო ნათელი იქნება სიგნალი იმისა, რომ ევროპა აპირებს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, „ქართული ოცნება“ მით მეტ სისულელეს გააკეთებს.

**- დაბოლოს, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგი რა შესაძლებლობა ან გამოწვევა შეიძლება გახდეს ევროპისთვის და, მათ შორის, საქართველოსთვის?**

- უკრაინელების გმირულმა ბრძოლამ თავისუფლების, დამოუკიდებლობის დასაცავად უკვე გამოიღო შედეგი და ის, რომ ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ მთელი ჩვენი არსებობის ისტორიაში ევროპასთან, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის ბრძოლით და სისხლით მოპოვებულ დამსახურებასთან ერთად, არის უკრაინელების დამსახურება, რომლებმაც მსოფლიო წესრიგი შეცვალეს. მათ ძალიან მკაფიო გახადეს ყველასთვის, რომ არსებობს თეთრი და შავი. ეს შავი, უბედურება და ბოროტება არის რუსეთი და ამ პლანეტაზე მცხოვრები ადამიანები ვიმსახურებთ უკეთესს. ჩვენ, როგორც ამ რეგიონის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე, უკრაინამ წარმოუდგენლად დიდი შესაძლებლობა გაგვიხსნა ამ მიმართულებით და, რა თქმა უნდა, ყოველთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ... ასეც ვიქცევით, მაგრამ არა ხელისუფლება, არამედ ხალხი. უამრავი ქართველი ჯარისკაცი იბრძვის უკრაინაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროა, რომ ამ ბრძოლაში 40-ზე მეტი დაღუპული გვყავს.

> ***„როგორ შეიძლება, თვითკმაყოფილ მთავრობის წევრებს ვუყუროთ?! ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. სიღარიბე ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, ყოველდღიურად იზრდება. ყველაზე ცუდი რაც არის, იმ მასშტაბის უიმედობა და ნიჰილიზმი გვაქვს, ყველა ვფიქრობთ ქვეყნის დატოვებას. წარმოგიდგენიათ, რა დღეშია ქვეყანა?!***

# „ბუნების ყველაზე ფაქიზი და სათუთი მხატვარია უფალი და უფლის შემდეგ – პოეტი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*პოეტი, პროზაიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი* ***ნათელა შაინიძე*** *ხუთი ვაჟის ღირსეულად გამზრდელი დედა, შვიდი შვილიშვილის მოამაგე ბებია, ოთხი რძლის საყვარელი დედამთილი, უმცროსი ვაჟის - პოეტ პაატა სურმანიძის (პოეტ პოეტიშვილი) სათაყვანო დედაა, რომელმაც ვაჟს პოეზიის სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაუნერგა, თავად მას კი მწერლის თვალი ბუნების სილამაზის განცდამ და სიყვარულმა აუხილა. რაქვთაში (ხულო) დაბადებულსა და ციხისძირში (ქობულეთი) გაზრდილს, ამ სოფლების ულამაზესი ბუნების სურათების ხილვამ არაერთი ლექსი დააწერინა. ქალბატონი ნათელა ორი პოეტური და პროზაული კრებულის ავტორია, მისი ნაწარმოებები დაბეჭდილია თანაავტორთა ოც კრებულში. ამჟამად მუშაობს ახალ რომანზე, აქტიურია ინტერნეტსივრცეში, სადაც აქვეყნებს რომანის თავებს და მკითხველთა ყურადღებას იპყრობს. სწორედ ამან გვიკარნახა, ქალბატონ ნათელასთან გაგვესაუბრა.*

**- საინტერესო - ხშირად ასე ახასიათებენ ადამიანებს. როგორ ფიქრობთ, რა პიროვნული ნიშნები ახასიათებს ასეთ ადამიანს და თავად როგორ პიროვნებად მიგაჩნიათ თავი?**

- საინტერესო რომ იყოს ადამიანი, უნდა გამოირჩეოდეს სხვებისგან თუნდაც ნიჭით, ინტელექტით, სილამაზით. სამწუხაროდ, ცუდი საქციელითაც კი გამოირჩევიან ადამიანები სხვებისგან. საკუთარ თავსაც ვთვლი სხვებისგან გამორჩეულად, რადგან მე მე ვარ ჩემი ადამიანობით, ჩემი ღირსებით, თუნდაც ნიჭით და სხვა ვერანაირად ვერ ვიქნები. ხარ გამორჩეული, ესე იგი, შენ ხარ უფლის და ხალხის რჩეული, ამას კი სულ ვგრძნობ.

**- არჩეული პროფესიისადმი თქვენი დამოკიდებულება...**

- პროფესიას როდესაც ირჩევ, აუცილებლად უნდა გქონდეს მიდრეკილება ამ პროფესიისადმი. წერა ადრეულ ასაკიდან დავიწყე, მეოთხე კლასში დავწერე პირველი ლექსი, რომელიც ჟურნალ „ჭოროხშია“ გამოქვეყნებული. სულ მინდოდა ფილოლოგობა. ლიტერატურა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ფლორა ბარამიძემ შემაყვარა. სკოლის დამთავრების შემდეგ, დაბა ლაითურის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში გავაგრძელე სწავლა. მგეგმავი ეკონომისტის სპეციალობას დავეუფლე, მაგრამ ერთი დღეც არ მიმუშავია სპეციალობით, წარჩინების დიპლომი კი ოჯახურ ცხოვრებაში გამომადგა. შემდეგ, იმდენად დიდი იყო ფილოლოგობის სურვილი, რომ დაუსწრებლად დავამთავრე ეს ფაკულტეტი. ბედნიერებაა, მიზანს რომ მიაღწევ. ჩემი პედაგოგიური საქმიანობა საბავშვო ბაღის მასწავლებლობით დამთავრდა, თუმცა პედაგოგი ყველგან პედაგოგია, უფრო საინტერესო და საპასუხისმგებლოა ბაღის აღსაზრდელებთან მუშაობა, პატარებს იმთავითვე რომ უნერგავ მშობლიური ენის სიყვარულს და მათი ღიმილიანი თვალები გაბედნიერებს.

**- რა განცდა დაგეუფლათ, როცა მწერალთა კავშირის წევრი გახდით? ვინ იყვნენ თქვენი რეკომენდატორები და ვინ არიან თქვენი წიგნების რეცენზენტები, რედაქტორები, როგორ წარგადგინეს მკითხველთან?**



- ორი წელია, რაც ამ დიდი ოჯახის - მწერალთა კავშირის წევრი გავხდი. რეკომენდაცია გამიწიეს ქალბატონებმა ნანული ყურშუბაძე-გვარიშვილმა და პოეტმა, ლიტერატურათმცოდნე ჟუჟუნა შაინიძემ. გამოცემული მაქვს ორი კრებული - პოეტური და პროზაული. კრებულის რედაქტორია პოეტი მაია მიქაია. ორი წიგნი დაიბეჭდა 2019 წელს და საკმაოდ კარგად მიიღო მკითხველმა. ჩემს ნაწარმოებებს ვაქვეყნებ ინტენეტსივრცეში - ჯგუფ „გვირილებში“ „უცნობი ნაცნობის“ სახელით, ასევე, ვწერ საბავშვო ლექსებს, რაც აღსაზრდელებთან მუშაობამ მიკარნახა. მაქვს 500-მდე საბავშვო ლექსი და მინდა, გამოვცე საბავშვო კრებული. ბევრგან ვიბეჭდები, ოცამდე თანაავტორთა კრებულში ვარ დაბეჭდილი, ასევე, პერიოდულად ვაქვეყნებ „მწერლის გაზეთში“, „ლიტერატურულ გურიაში“, ჟურნალ „ისინდში“, „ჭოროხში“.

> ***„ ძალიან გულდასაწყვეტია, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ერი გახლეჩილია და მხოლოდ ერთიანობა თუ გადაარჩენს საქართველოს. უმუშევრობა და მიგრაცია აისახება თითოეულ ქართულ ოჯახზე, ინგრევა ოჯახებიც. ვფიქრობ, ჩვენი მოქალაქეების საკუთარ ქვეყანაში დასაქმება პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებს***

**- დროდადრო რომანის ნაწყვეტებს აქვეყნებთ ინტერნეტსივრცეში. ეს საჯაროობა თუ გეხმარებათ სასურველი ტექსტის შექმნაში და თავად რას იტყვით თქვენს ახალ ნაწარმოებზე?**

- ინტერნეტსივრცე ძირითადად მეხმარება იმაში, რომ ხალხს გავაცნო ჩემი შემოქმედება, ეს რომ არა, ალბათ მკითხველი ვერც გამიცნობდა ისეთს, როგორიც ვარ. ნაწარმოების შექმნაში აუდიტორია ნაკლებად მეხმარება, რადგან რეალისტი ვარ და ვწერ რეალურ ისტორიებს, ნანახსა და განცდილს. მკითხველის აზრიც, რა თქმა უნდა, საინტერესოა. ვფიქრობ, კარგად გამომდის, რასაც ვწერ.

**- ოჯახი - ბედნიერების სათავე და წყარო - ეთანხმებით ამ ფორმულირებას? და რა შეგიძლიათ გვითხრათ საკუთარ ოჯახზე?**

- რა თქმა უნდა, ვეთანხმები. როცა ოჯახში ურთიერთგაგება და სიყვარულია, იქ სუფევს ბედნიერებაც. ჩემს ოჯახზეც იგივეს ვიტყოდი, მყავს მოსიყვარულე მეუღლე, რომლის გვერდით 44 წელია ვცხოვრობ. გვყავს ხუთი ვაჟი, ოთხი რძალი და შვიდი შვილიშვილი. უმცროსი ვაჟიშვილი პაატა დასაოჯახებელია, ერთი შვილი უკრაინაში ცხოვრობს.

**- ლამაზად შვილთა აღმზრდელი დედა - ასე გიცნობენ და გახასიათებენ. თქვენი ვაჟი - პაატა სურმანიძე, საინტერესო ახალგაზრდა პოეტია, ორიგინალური ფსევდონიმითაც იპყრობს ყურადღებას...**

- ნამდვილად კარგი შვილების დედობა მარგუნა უფალმა. ვმადლობ მას ამისთვის. იყო პაატას დედა, ეს საოცარი შეგრძნებაა. ვამაყობ მისი განათლებით, პიროვნული თვისებებით, ადამიანობით.

**- ქალი, დედა და დღევანდელი საქართველო - როცა ამ თემაზე ფიქრობთ?**

- როცა ამ თემაზე ვფიქრობ, მგონია, რომ ქალმა და დედამ თითქმის დაკარგა ფუნქცია. ემიგრაციამ მოწყვიტა ქალი ოჯახს, შვილებს და სამშობლოს. შესაბამისად, შვილებს მოაკლდათ დედის ხელი. კი, ფინანსურად უზრუნველყოფილი ჰყავთ შვილები, მაგრამ ილიას დავესესხები: „დედობა მარტო ძუძუს წოვება როდია“, ბავშვს დედის მუდმივი ყურადღება სჭირდება, ვერავინ ისე ვერ აღზრდის და გაუგებს შვილს, როგორც დედა. სამწუხაროა, რომ დღეს ქართველი ქალები თავიანთი სუსტი მხრებით ეზიდებიან ოჯახების და ქვეყნის ტვირთს.

**- პრობლემა, სატკივარი, რომელიც ამ ეტაპზე ყველაზე მეტად იჩენს თავს ჩვენს საზოგადოებაში და როგორ ხედავთ მისი დაძლევის გზებს?**

- ძალიან გულდასაწყვეტია, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ერი გახლეჩილია და მხოლოდ ერთიანობა თუ გადაარჩენს საქართველოს. უმუშევრობა და მიგრაცია აისახება თითოეულ ქართულ ოჯახზე, ინგრევა ოჯახებიც. ვფიქრობ, ჩვენი მოქალაქეების საკუთარ ქვეყანაში დასაქმება პრობლემას ნაწილობრივ მოაგვარებს.

**- ტრადიციები და ჩვენ - რა შევინარჩუნოთ, რა უკუვაგდოთ?**

- რაც შეეხება ტრადიციებს, რაც ოდითგანვე კარგი მოგვდგამს, არ უნდა დავივიწყოთ. სტუმარმასპინძლობა, ზრდილობა, ვაჟკაცობა და სამშობლოს სიყვარული აგვამაღლებს და წარსულს არ დაგვავიწყებს. არის ზოგიერთი მავნე ტრადიციაც, რაც დასავიწყებელია, ზოგი დამპყრობლებისგან შემოგვრჩა, ზოგიც, მერე შევიძინეთ, სამწუხაროდ.

**- სამშობლო იწყება... ქვეყნის რომელ კუთხეს გამოარჩევდით და რატომ?**

- ჩემთვის სამშობლო იწყება ხულოს სოფელ რაქვთიდან, სადაც დავიბადე, პირველად შევიგრძენი მშობლიური მიწის სურნელი, სამშობლოს ზეცის სიდიადე, მისი თაკარა მზე და გვირილების სურნელი, რომელიც ასე ძალიან მიყვარს. ჩემი პოეზიის მოსაფერებელია ეს საუფლო ყვავილი - გვირილა. შესაბამისად, მეგობრები და ახლობლები „გვირილა პოეტსაც“ მეძახიან. მთაში სულ სამი წელი ვიცხოვრე, შემდეგ მშობლები გადმოსახლდნენ ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში, სადაც გავიზარდე, გავატარე ბავშვობა და ყმაწვილქალობა. იქვე გავთხოვდი - კარგ გოგოს სოფლიდან ვინ გაუშვებდა (ვხუმრობ). შემდეგ ოზურგეთის რაიონში, დაბა ლაითურში დავსახლდი, სადაც ამჟამად ვცხოვრობ და ვარ ბედნიერი. ძნელია, საქართველოს კუთხეები გამოარჩიო, ყველა ერთმანეთზე ლამაზია, მაგრამ აჭარა ჩემთვის გამორჩეულია, იქ ჩემი წინაპრების ფესვებია. იმედია, გურულები არ მიწყენენ, რადგან არანაკლებ მიყვარს გურიაც.

**- თქვენი აზრით, ბუნებას ყველაზე ლამაზად და ფაქიზად რა წარმოაჩენს და თქვენი მიმართება მასთან?**

- ბუნების ყველაზე ფაქიზი და სათუთი მხატვარია უფალი და უფლის შემდეგ - პოეტი, რომელსაც მხატვრული ხერხებით, შედარებებით და მეტაფორებით სათუთად გადმოაქვს მისი სიმშვენიერე ქაღალდზე და აწვდის მკითხველს ისე ლამაზად, რომ თვალით ნანახიც რომ არ ჰქონდეს, შეიგრძნობს ამ სილამაზეს. ბევრჯერ ამისახავს ბუნება ჩემს შემოქმედებაში.

**- ერთი ცნობილი მწერალი ამბობდა, ყოველი წაკითხული წიგნის მერე ვხდებით უფრო ჭკვიანი, ვიდრე ვიყავითო... ბოლო დროს წაკითხული წიგნებიდან ასეთად რომელს მიიჩნევთ, ანუ სულიერად რომელმა წიგნმა გაგამდიდრათ? დაასახელეთ ის ქართველი და უცხოელი მწერლები, რომლებიც ძალიან მოგწონთ და დროდადრო უბრუნდებით წასაკითხავად.**

- რა თქმა უნდა, ყოველი წაკითხული წიგნის შემდეგ ვიზრდებით, რამდენჯერაც ვუბრუნდები, იმდენჯერ სიახლეს აღმოვაჩენ და სულიერად ვიკვებები. მიყვარს უცხოელი კლასიკოსები - ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“. ქართველთაგან ყველა მიყვარს, მაგრამ გამოვარჩევდი კონსტანტინე გამსახურდიას („დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“), გალაკტიონს, რუსთაველს. მათ ხშირად ვკითხულობ და არ მწყინდება.

**- დრო იცვლება, ციფრულ გადაწყობას სირთულეები ახლავს. როგორ ავუწყოთ ფეხი სიახლეებს, რას ურჩევდით ახალგაზრდებს?**

- სხვა გზას არ გვიტოვებს დრო, ფეხი უნდა ავუწყოთ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიურ სიახლეებს, რომ ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ცხოვრებაში, თუმცა ახალგაზრდებს ვურჩევდი, სულ ნუ მიეჯაჭვებიან კომპიუტერებს, განსაკუთრებით ბავშვებს სჭირდებათ ყურადღება, რადგან ინტერნეტსივრცე ბევრი ნეგატიური და საფრთხის შემცველი ინფორმაციითაა გადაჭედილი. ახალგაზრდებს, მოზარდებს ვურჩევდი, თავისუფალ დროს მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს - დაკავდნენ სპორტით, ეს აუცილებელია.

**- აფორიზმი, რომლითაც დაასრულებდით ამ ინტერვიუს.**

- დიდ შოთას მოვიშველიებდი: „ლექსი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“.

# საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა – ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი ინტეგრაცია

მე-3 გვერდიდან

**- დაბოლოს, წელს რამდენად მოსალოდნელია რუსეთ-უკრაინის ომის დასასრული და ასევე ფინეთის ნატოში გაწევრიანება რას ცხადყოფს საერთაშორისო პოლიტიკაში?**

- ვარაუდი ომის დასრულებასთან დაკავშირებით ძალიან რთულია, თუმცა ვიცით, რომ ევროკავშირი და ამერიკა უკრაინას მხარში უდგას და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ეს ომი არ დასრულდება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ უკრაინა არ არის მარტო თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამ ომით რუსეთმა ყველა საერთაშორისო ფრონტი წააგო, ფატალური შედეგები მოუტანა თავისი ქვეყნის ეკონომიკას, სრულ იზოლაციაში მოექცა ერთ დროს „უძლეველად“ წოდებული სახელმწიფო და ენერგორესურსებით მანიპულანტი ქვეყანა დღეს ევროკავშირის ბაზარზე ვეღარ ახერხებს შანტაჟის ენით საუბარს, რადგან ევროპულმა ქვეყნებმა მინიმუმამდე დაიყვანეს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება. რაც შეეხება ფინეთის ნატოში გაწევრიანებას, ეს ნამდვილად ისტორიული მოვლენაა. რაც ცხადყოფს იმას, რომ იწყება რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების ინსტიტუციური ნგრევა, რომელიც შვედეთის გაწევრიანებით გაგრძელდება, სამომავლოდ კი საქართველოს წევრობითაც, რითაც გაფორმდება რუსეთის დამპყრობლური ამბიციების სამუდამო დასამარება. რუსეთმა ძალიან კარგად იცის, რომ უძლურია ნატოს წინაშე და ამიტომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ცდილობს, ხელი შეუშალოს ყველა მეზობელ სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში, თავდაცვის ძალების გაძლიერებაში, დესტაბილიზაციის მოწყობისათვის იყენებს ჰიბრიდული ომის ელემენტებს, რადგან არ უნდა ძლიერი, დამოუკიდებელი, თავისუფალი, ევროპული ღირებულებების მატარებელი ქვეყანა მეზობლად, რომელსაც ვეღარ გააკონტროლებს. დღეს ეს „საფრთხე“ რუსეთისთვის უკვე რეალობად იქცა, რაც დააჩქარა მისმა შეჭრამ უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე. რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ბუმერანგის როლი ითამაშა და ყველანი ერთად ვუყურებთ, როგორ გაება თავად რუსეთი სხვისთვის განკუთვნილ „მახეში“, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ თვითლიკვიდაცია ან სრული კაპიტულაციაა.

# ევროკავშირში მგზავრობის მსურველთა საყურადღებოდ!

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ გაავრცელა ინფორმაცია, თუ რა შეიცვლება მომავალი წლიდან ევროკავშირში მგზავრობის მსურველთათვის.

კერძოდ: „2024 წლიდან, ევროპაში უვიზო მიმოსვლით მოსარგებლე 59 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებისთვის, სავალდებულო გახდება მგზავრობის წინასწარი დასტურის (ავტორიზაციის) მიღება „ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემიდან“ (ETIAS). მგზავრობის დასტური ევროკავშირის მიერ შემოღებული ახალი მოთხოვნაა შენგენის 27 ქვეყანაში, ბულგარეთში, რუმინეთსა და კვიპროსში შესასვლელად.

გაითვალისწინეთ: ETIAS არ არის ვიზა. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ძალაში რჩება საქართველოს მოქალაქეების მოკლევადიანი ვიზიტებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში.

უფრთხილდით თაღლითებს! ETIAS-ის ერთადერთი ოფიციალური ვებგვერდი არის: http://www.europa.eu/etias. ETIAS-ის სისტემა ჯერ არ ფუნქციონირებს. მისი ამოქმედების შემდეგ განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომი იქნება ოფიციალურ ვებგვერდზე. დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ: https://europa.eu/!FnfNwM“, - წერია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

# ტკივილიანი 19 აპრილი და შემდგომ განვითარებული მოვლენები

***ზვავი, მეწყერი, ჩამოშლილ-ჩამოწოლილი ფერდობები, გაუკაცრიელებული ტერიტორიები აჭარის მთიანეთისთვის უცხო არაა. 9 აპრილის ტრაგედიიდან ათი დღის შემდეგ, 19 აპრილს, ახალი ტრაგედია დაატყდა თავს ქვეყანას, 23 ადამიანის სიცოცხლე ჩაიმარხა მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის მასის ქვეშ.***

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: «ადამიანი თუ მთელი ერი, იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურს სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი». რუსული ნიჩბებითა და ხიშტებით დაჭრილ-დათრგუნული ქართველი კაცი ბუნებისგან განწირულ თანამოძმეებს გვერდით დაუდგა. მრავალთა მსგავსად, ამ სტრიქონების ავტორს კარგად ახსოვს მაშინდელი თანადგომა, უბრალო პროფესიის ადამიანებით დაწყებული, სახელოვანი მეცნიერებით, მწერლებით, მსახიობებით დამთავრებული, ყველა ფეხზე დადგა. ერთი თვის ხელფასს, პრემიებს, წიგნების ჰონორარებს რიცხავდნენ სპეციალურად გახსნილ, აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა ფონდში. სახელოვანი ერისკაცის გურამ ფანჯიკიძის წვლილი მაინც ყველაზე გამორჩეული იყო.

ერთ დროს ხილსა და მწვანეში ჩაფლული ჩანჩურხევი მიწის მასად იქცა. 48 დღის განმავლობაში ეძებდნენ სოლგომანის მთიდან მოწყვეტილი მიწის ქვეშ დამარხულებს. რამდენიმე ადამიანის ნეშტს ვერ მიაგნეს.

მარტო სხალთის ხეობაში კი არა, ქვეყანაში ცნობილი პიროვნება იყო ყიშლის (ახლანდელი წაბლიანის) რვაწლიანი სკოლის დირექტორი დავით შაინიძე. იმ უბედურების ჟამს, ისიც გზაგასაყარზე ტრანსპორტს ელოდა, როცა მეწყერმა სიცოცხლე მოუსწრაფა. მისი ნეშტის პოვნის შემდეგ, ძებნითი სამუშაოები შეწყვიტეს.

მიწაში ჩაკირულთა ძებნა, ცხედრების დაკრძალვა, შემოწირულობების დასაწყობება, შეგუბებული სხალთისწყლისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების გატარება, მოცლა-მოსვენების საშუალებას არ აძლევდა სხალთის თემის, ხულოს რაიონის, თუნდაც რეგიონისა და ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელობას. დროის გადასახედიდან ანალიზის გაკეთება იოლია, მაგრამ მაშინდელ დაბნეულობას მიაწერენ სოფელ წაბლანიდან მოსახლეობის გაყვანას და აჭარის ტერიტორიაზე არსებულ პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში მათთვის დროებითი საცხოვრისის მიჩენას. მაშინ სოფელს, თუნდაც ცალკეულ ოჯახებს, საფრთხე და საშიშროება არ ემუქრებოდა. წაბლანაში გონიერი ადამიანები აღმოჩნდნენ და ქვემო ქართლში, ისტორიული სოფელი დისველის ტერიტორიაზე, მუდმივი საცხოვრისის გამონახვა გადაწყვიტეს. ახლანდელი გადასახედიდან მათ არჩევანს ვუწონებთ, ახლა ამ სოფელში ცხოვრება დუღს. მარტო ის რად ღირს, რომ დისველის ახალმა მობინადრეებმა ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით, დედაქალაქში მცხოვრები და მომუშავე დავითაძეების გვარის ბიზნესმენების თანადგომით, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი ააგეს. წაბლანელთა ამ არჩევანში დიდი წვლილი შეიტანა სხალთის თემის მაშინდელმა ხელმძღვანელმა იზოლდა სურმანიძემ.

- 1989 წლის 22 აპრილს მექანიზატორებმა შეგუბებულ სხალთისწყალს პირი გაუხსნეს. ამას საჭიროებაც მოითხოვდა. ათეულობით ოჯახს დატბორვის საფრთხე შეექმნა კვატიასა და მდინარისპირა სხვა ტერიტორიაზე. იხუვლა სხალთისწყალმა და ფურტიოს ხიდის ზემოდან გადმოვიდა. თან წაიღო ის ნოყიერი მიწები, რომლებსაც სხალთელები, ყინჩაურელები, გურძაულელები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ. 20 ჰექტარი წალეკილი ტერიტორია, საძირკველ-ჩამოშლილი სახლები, სათავსოები საზარელი სანახავი იყო.

სხალთის ხეობაში დატრიალებულმა ტრაგედიამ, შემდგომ წლებში სკვანის, სატბაოს მეწყრებმა (სატბაოში ჩამოწოლილმა მეწყერმა 6 ადამიანი შეიწირა), აჭარის მთიანეთის სხვა ტერიტორიებზე განვითარებულმა მეწყრებმა ქვეყნის, რეგიონის ხელისუფალთ დიდი საზრუნავი გაუჩინა - დაიწყო აჭარის მთიანეთის სოფლებიდან ქვეყნის 40-მდე ქალაქსა და რაიონში მოსახლეობის გაყვანის შეუქცევადი და მტკივნეული პროცესი.

ქართველი კაცისთვის სამშობლო, წინაპრების ნალოლიავები მიწა მუდამ საფიცარი იყო და ახლაც ასეა. ურთულესი პროცესი აღმოჩნდა მისთვის ჯავახეთის, თრიალეთის ზეგნებზე, ქვემო ქართლში, გარე კახეთში, წერეთისკარსა და გურია-სამეგრელოში დამკვიდრება.

ზოგჯერ მავანი იტყვის, წავიდნენ და მორჩა, აქაურობას ნუღარ ეპოტინებიანო. შეიძლება ეს იმ თაობას წამოაძახო, რომელიც ახალ საცხოვრისზე დაიბადა, მაგრამ აბა, მათ ვკითხოთ, ვინც საშუალო ასაკში მშობლიური ტერიტორია დატოვა. ისინი სიზმრებში ისევ ხედავენ მშობლიურ



ადგილებს, მათ წინაპართა სულები ეძახიან.

შრომისმოყვარე აჭარის მკვიდრებმა ახალ საცხოვრისზეც ჩვეულ ადათ-წესებს არ უღალატეს. მათი აქტიურობით, საქართველოს რუკაზე გაჩნდა ახალი სოფლები: ერისიმედი (მდინარე ალაზნის გაღმა ნაპირზე), აზმანა (ჯავახეთის ზეგანზე), ახალი დიოკნისი, ხიხანი, მარადისი (მარნეულში), ვაზიანი, მუხროვანი (გარდაბანში), ჰერეთისკარი (ლაგოდეხში). სოფლის სტატუსი დაუბრუნეს წალკის, ნინოწმინდის, ახალციხის, ასპინძის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებს, სოფელი ივერია ასპინძის რაიონის ტერიტორიაზე წინა საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში «გააჩინეს».

ბევრჯერ დაიწერა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფელ სპასოვკაზე, რომელიც წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მეტწილად ღორჯომის ხეობიდან გადასულებმა გააცოცხლეს. აქ დამკვიდრებული ლექსო მიქელაძე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერის ანივარდ მუსოიანის პირველი მოადგილეა. მან მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურებში საქმისწარმოება ქართულ ენაზე დაამკვიდრა. მისი აქტიურობით, სპასოვკის მცხოვრებლებმა სახალხო დღესასწაული «ღორჯომობა» წამოიწყეს. სპასოვკა ნინოწმინდაში ის სოფელია, სადაც ქართული სკოლა მოქმედებს. ყველას ახსოვს სპასოვკელთა აქტიურობა, ნინოწმინდაში იანვარსა და ივნისში, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით «ნინოობის» საღვთო დღესასწაულები რომ იმართებოდა. ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია «ვერ შეეგუა» ნინოწმინდაში ქართული სულის, ეროვნულობის გაცოცხლებისკენ სწრაფვას და «ნინოობა», ნინოწმინდაში მოქმედი უპოვართა და ნაკლებუზრუნველყოფილთა პანსიონი, ლამის ისტორიის კუთვნილებად აქცია.

სხვა ერის წარმომადგენლები მუდამ ცდილობდნენ ჯავახეთისა და თრიალეთის ნოყიერი, ქვეყნის მასაზრდოებელ-მარჩენალი მიწის დასაკუთრებას, დღესაც ასეა.

საუბედუროდ, ჯავახეთის ზეგანზე დაწყებული 503 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ბოლომდე ვეღარ მიიყვანეს. კოთელიას, ჩუნჩხას, პტენას, ოკამის, ოგაშენის, აფნიას ნოყიერი მიწები აჭარიდან გადასულთა უმრავლესობამ ან სხვა ერის წარმომადგენელს ჩალის ფასად მიჰყიდა, ან უპატრონოდ მიაგდო. საწყის ეტაპზე, გოგაშენში ღურტიდან გადასულები დამკვიდრებას აპირებდნენ. აწ განსვენებულ, ოქრუაშვილებელ რომან თავართქილაძეს, წინა საუკუნის 80-იან წლებში, როცა თბილისში სწავლობდა, ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიადან ჰყავდა თანაკურსელი. რომანის თანასოფლელებმაც კოთელიაში ცხოვრება აირჩიეს, მაგრამ ახლა რამდენიმე ოჯახი შემორჩა. აქ რიყეთელებმა აფნია მიატოვეს და ძამას ხეობა, წალკის რაიონის სოფელი ქვემო ხარაბა აირჩიეს.

ცეკავშირის მაშინდელი თავმჯდომარის რესან კონცელიძის ინიციატივით, აღორძინებულ ქართულ სოფელ აზმანას ვაშლოვანელებმა ვერ უპატრონეს. აჭარიდან გადასულები ჩუნჩხასა და პტენასაც ტოვებენ. თავის დროზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ჩასულებისთვის როგორც ქვეყნის, ისე აჭარის ხელმძღვანელობას სათანადო მხარდაჭერა რომ გაეწია, ასეთი სავალალო ფინალი არ იქნებოდა. იქ ჩასახლებულებს ახალქალაქის გამგებლის მოადგილე არჩილ ქამადაძის გარდა, პატრონი არ ჰყავდათ. ბოლოს მანაც მიატოვა ახალქალაქი და საცხოვრისი სხვაგან გაიჩინა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ხულოსა და შუახევის რაიონებიდან გადასულ 200-მდე ოჯახს მზა სახლები მიწის ნაკვეთებით შეუძინა. საუბედუროდ, მრავალმა მათგანმა თონას, ბოლქვის, კაკლოვანის და სხვა სოფლების უხვმოსავლიანი მიწები მიატოვა. იგივე ითქმის ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ფიჩხოვანი, ქორეთი) ჩასახლებულებზე. არადა, იმათ, ვინც ლაგოდეხის, ახმეტის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თუნდაც წალკის, თეთრიწყაროს ნოყიერ მიწებს უპატრონა, დღეს კარგი ცხოვრება და წარმატებული ბიზნესიც აქვთ.

1989 წლის სტიქიური პროცესების შემდეგ, აჭარის მთიანეთიდან ქვეყნის სხვადასხვა კუთხესა და ქალაქში 9500-ზე მეტი ოჯახია გადასული. 21-ე საუკუნის დასაწყისამდე ხულოს, შუახევის, ქედის სოფლებს დაშლა-დაცარიელების საფრთხე არ ემუქრებოდა. 20-25 წელია, სოფლების დაცარიელება გრძელდება. მინიმუმამდე დავიდა სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი.

აპრილმა წელსაც გული გვატკინა - აღდგომის დღესასწაულის დღეებში ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა თხილვანაში, თითქმის ორ ჰექტარამდე ტერიტორია დაიმეწყრა. მიწის მასამ დაშალა ილია ბოლქვაძის დამატებითი სათავსო, საფრთხე დაემუქრა მის და კიდევ რამდენიმე ოჯახს. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დაზარალებული ოჯახი საიმედო ტერიტორიაზე გახიზნა.

> ***„ საუბედუროდ, ჯავახეთის ზეგანზე დაწყებული 503 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ბოლომდე ვეღარ მიიყვანეს. კოთელიას, ჩუნჩხას, პტენას, ოკამის, ოგაშენის, აფნიას ნოყიერი მიწები აჭარიდან გადასულთა უმრავლესობამ ან სხვა ერის წარმომადგენელს ჩალის ფასად მიჰყიდა, ან უპატრონოდ მიაგდო***

# „გავხადოთ დედამიწა უკეთესი“

***გამოვიდა მიხეილ დავითაძის ახალი წიგნი „გავხადოთ დედამიწა უკეთესი“. მიხეილ დავითაძე საპატიო შუახეველი, ღირსების მედალოსანი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია 2013 წლიდან***

იგი ასეულობით ლიტერატურული წერილის, პუბლიკაციის, ნარკვევის, მოთხრობის, ნოველის, ლექსისა თუ რომანის ავტორია, გამოირჩევა წერის მაღალი კულტურით, აზრთა გადმოცემის თავისებური, ლაკონური სტილით, მახვილგონიერებითა და სიტყვაკაზმულობით. 2008-2019 წლებში მწერალმა გამოსცა 10 წიგნი. მეთერთმეტე წიგნი - „გავხადოთ დედამიწა უკეთესი“, ბოლოდროინდელი ლექსების, კრიტიკული წერილებისა და პუბლიკაციების კრებულია.

მიხეილ დავითაძის ნაწარმოებები თანდათანობით იძენს სულიერ სიმწიფეს, მომხიბვლელობას და რეალურად, ნათლად, შთამბეჭდავად ასახავს დროის შესაბამისად განვითარებულ მოვლენებს. ნაწარმოების გმირები ნაცნობი სოციალური წრიდან მოდიან, ცხოვრების ქარიშხლიანი სტიქიონის გააფთრებულ შემოტევას ღირსეულად უმკლავდებიან, ბედკრული სამშობლოს გაუსაძლის ყოფაზე წუხან და მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან.

მეტად საყურადღებოა მწერლის მიერ ბოლო პერიოდში გამოცემული სამი ისტორიული რომანი („მლევანა მთვარე“, „უბედითი უკუნეთი“, „ქორი ხიხანზე“), რომელშიც, რეალისტურად, ისტორიის კარგი ცოდნით გვიხატავს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან, გმირულ, უთანასწორო ბრძოლას. აშკარად, დაუფარავად, მტკივნეულად ასახავს მწვავე შეურიგებლობას ისლამური მარწუხებისადმი. დაბრძენებული მწერალი მეტად თამამად, ხატოვნად, ობიექტურად, გულწრფელად და საინტერესოდ გადმოგვცემს ჩვენი ცხოვრების როგორც წარსულის მშფოთვარე სურათებს, ისე დღევანდელობის ცოცხალ მაგალითებს. მისი იუმორესკები, ფელეტონები, კრიტიკული პუბლიკაციები სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.




მიხეილ დავითაძის ნაწარმოებები გამოირჩევა ობიექტურობით, მოვლენებში ღრმად წვდომის უნარით, მახვილგონიერებით და, რაც მთავარია, სითამამით, მართალი მოქალაქეობრივი პათოსით. იგი სავსეა ქვეყნის, საზოგადოების მძიმე ტკივილთა განცდით. დიდაქტიკური ხასიათის წერილები ზნეობის, მორალის საკითხებზე ფილოსოფიურ სიბრძნესა და გამოცდილებას გადმოგვცემს და ააშკარავებს ისეთ მოვლენებს, რომლებიც გვამცირებს, სულს გვიმახინჯებს, იმედგაცრუებას იწვევს.

საკუთარ ინსტინქტს, ფანტაზიას დაყრდნობილი ავტორი თანამემამულეთა ზნეობრივ სიწმინდეში, ადამიანურ გრძნობებში, სულის სიძლიერეში, ერთიანობაში, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულში ეძებს საყრდენს და ურღვევ მრწამსში, საზოგადოების გაკეთილშობილებაში, სიკეთის კეთებისკენ მის მობრუნებაში ხედავს მომავალს.

წიგნი მცირე საწარმო „მაია ჯაველიძეში“ დაიბეჭდა. რედაქტორია ოთარ ცინარიძე. ავტორი მადლობას უხდის მანანა ფუტკარაძესა და ირინე შარაძეს გაწეული შრომისთვის.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ბათუმელმა მსახიობმა ეკა ჩავლეიშვილმა, რომელიც კანის ფესტივალზე მიემგზავრება, პირობა მოგვცა...

***„ნეტა სიხარულისგან არ გავგიჟდებოდე“, - ასეთი იყო ბათუმელი მსახიობის, ეკა ჩავლეიშვილის რეაქცია იმ ფაქტზე, რამაც მასთან ერთად არა მარტო ბათუმლები, არამედ მთელი საქართველო გაახარა***

ფაქტი ასეთია - კანის კინოფესტივალზე აჩვენებენ ქართულ ფილმს „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ (რეჟისორი - ელენე ნავერიანი), რომელშიც მთავარ, ეთეროს, როლს ეკა ჩავლეიშვილი ასრულებს. The Directors' Fortnight კანის კინოფესტივალის დამოუკიდებელი საკონკურსო სექციაა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის, განსხვავებული ჟანრის, გამორჩეული ფილმებია შეტანილი. მათ შორის მოხვდა ელენე ნავერიანის ხსენებული ფილმიც.



„შაშვი, შაშვი, მაყვალი“ ამ რეჟისორის შემოქმედებაში მესამე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. იგი თამთა მელაშვილის ამავე სახელწოდების ბესტსელერად ქცეული წიგნის ეკრანიზაციაა. სხვათა შორის, ეს ნაწარმოები თამთა მელაშვილის ბიოგრაფიაშიც რიგით მესამეა. კინომცოდნე თეო ხატიაშვილი ამ ეკრანიზაციასთან დაკავშირებით წერს: „ცოტა შიშით ველოდები, რადგან თამთას ტექსტები რამდენადაც კინემატოგრაფიულია, იმდენად თხრობა აქვს ისეთი სპეციფიკური, რომ დანის პირზე სიარულს ჰგავს მისი ეკრანიზება, წარმატება თამთას და ელენეს“.

ელენე ნავერიანისთვის საერთაშორისო სარბიელზე წარმატება ახალი ხილი ნამდვილად არაა. ჩვენ გვახსოვს, რომ სწორედ მის მხატვრულ ფილმში „სველი ქვიშა“ მონაწილეობის შედეგად მიიღო გია აგუმავამ პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. სხვათა შორის, ამ ფილმშიც ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი ეკა ჩავლეიშვილმა. ჯერჯერობით ეკას მხატვრულ სახეზე მხოლოდ ის ვიცთ, რაც ფილმის აღწერაშია ნათქვამი. ეთერო პატარა ტრადიციულ ქართულ სოფელში მცხოვრები საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიის მფლობელია. იგი 48 წლის დაუოჯახებელი ქალია, რომელსაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავისუფლება და ნამცხვრები ერთნაირად უყვარს. იგი ემზადება მშვიდი ცხოვრებისთვის, რომელშიც ჭორები და მითქმა-მოთქმა აღარ იქნება, თუმცა მის ცხოვრებაში ისეთი ცეცხლოვანი რომანი შემოიჭრება დისტრიბუტორი მამაკაცის სახით, რომ დაწყობილი გეგმები, სავარაუდოდ, თავდაყირა დადგება.



რამდენიმე წლის წინათ ეკამ ინტერვიუზე უარი იმიტომ გვითხრა, რომ მის შემოქმედებით ცხოვრებაში სტაგნაციის პერიოდი იყო: „თუკი რამე გამიკეთებია, უკვე დამავიწყდა. არტისტობის ხიბლი კი სწორედ იმაშია, მუდმივად ამტკიცებდე, რომ გაქვს ამ პროფესიაში ყოფნის უფლება. ნეტავ ეს ბედნიერი წუთები კიდევ განმაცდევინა და რაც ამ წლების მანძილზე უარს ვამბობდი ინტერვიუზე, ერთბაშად ამოვთქვამ სათქმელს... თუ რამე საინტერესო მოხდება ჩემს შემოქმედებაში, პირობას გაძლევთ, რომ ინტერვიუზე უარს აღარ გეტყვით“.

როგორც ხედავთ, წლების წინ მოცემული პირობა ძალიან გამოგვადგა, რადგან უახლოეს ხანებში, როგორც კი შესაძლებელი გახდება, ანუ კანის ფესტივალიდან ჩამოსვლისთანავე (იგი 16-27 მაისს გაიმართება) „აჭარა“ პირველი იქნება, ვისაც ეკა ინტერვიუს მისცემს.

# ერთგულება, პროფესიონალიზმი, თავდადება – სიცოცხლის გადასარჩენად

## აგრეგატის რამდენიმე ბრუნი საკმარისი აღმოჩნდა ამ ძლიერი მამაკაცის ხელისა და ფეხის მოსაგლეჯად

საათის გამართული მექანიზმივით შეთანხმებულად, უხმაუროდ, ადამიანის შესაძლებლობის ზღვარზე იბრძოდა „ჯანმრთელობის ცენტრ მედინას“ მედიკოსთა ჯგუფი 51 წლის მამაკაცის გადასარჩენად. საათები დასჭირდა უბედური შემთხვევის შედეგად დასახიჩრებული ადამიანის მდგომარეობიდან მინიმალური დაზიანებით გამოყვანას, პროფესიონალთა გუნდმა ყველაფერი გააკეთა მაქსიმალური შედეგის მისაღწევად. საოპერაციო დარბაზი ბრძოლის ველს ჰგავდა. აქ იყო სისხლიც, დაფლეთილი კუნთებიც, დამტვრეული ძვლებიც, მაგრამ არ იყო უკან დახევა, არც დაღლა, არც შეცდომა!



თ.ქ.-ს უბედურება დაატყდა თავს - მძლავრი ბეტონამრევი მანქანის უზარმაზარ ავზში გასაწმენდად შეძვრა, რაც, სამწუხაროდ, არავინ იცოდა და... აგრეგატი ჩართეს. გამორთვამდე ავზმა რამდენიმე ბრუნი მოასწრო, რაც საკმარისი აღმოჩნდა ამ ძლიერი მამაკაცის ხელისა და ფეხის მოსაგლეჯად, მთელი სხეულის დასაჩეჩქვად.

ასეთ დროს ყოველი წუთი ძვირფასია ... ექიმებს სწრაფადაც უნდა ემუშავათ და უშეცდომოდაც. ერთმა ჯგუფმა, პირველ რიგში, ტკივილი გაუყუჩა, მეორე - სისხლდენის შესაჩერებლად ჭრილობებს ამუშავებდა, რათა შემდეგ სასწრაფოდ გადაესხათ შესაბამისი ჯგუფის სისხლი დანაკარგის შესავსებად, ასევე, სისხლის შემცვლელები - ელექტროლიტები, ჰორმონები, ფერმენტები, ანტიჰისტამინური პრეპარატები, ანტიბიოტიკები, ძლიერმოქმედი ასეპტიკები. სამუშაო სრულდებოდა უხმაუროდ, მაგრამ ძლიერი ემოციური დატვირთვის ფონზე. ყოველი არასწორი ქმედება დამღუპველი იქნებოდა პაციენტის სიცოცხლისათვის. ფეხზე იდგა „მედინას“ უკლებლივ ყველა თანამშრომელი, რომელთა სამუშაო საათები დიდი ხანი ამოწურულიყო, მაგრამ არავის უფიქრია სახლში წასვლა, პირიქით, სხვა საავადმყოფოებიდან უხმობდნენ საშველად ძლიერ სპეციალისტებს და ისინიც დაუყოვნებლივ მოდიოდნენ. მედცენტრის სისხლძარღვთა ქირურგებმა მ. მიქელაძემ და რ. მარკოიძემ ბარძაყის არტერიის დაზიანებული მონაკვეთი ამოჭრეს და კანქვეშა ვენა გადანერგეს, ნეიროქირურგმა გოგა ვალიშვილმა აღადგინა დაზიანებული საჯდომი ნერვი, ქირურგები მ. გოგოლაძე, ო. სურმანიძე, ჯ. დავითაძე, ა. ბერიძე დიდი სიფრთხილით კერავდნენ დაჟეჟილ ქსოვილებს, ტრავმატოლოგებმა: მ. თებიძემ, დ. ცეცხლაძემ, გ.ფუტკარაძემ ჩაასწორეს მოტეხილი ძვლები და იმობილიზაცია გაუკეთეს კიდურებს.

შემდეგ პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს, სადაც, ასევე, ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად. მთელი კვირის განმავლობაში განყოფილების ყველა თანამშრომელი თავგანწირვით შრომობდა, რამაც ნაყოფი გამოიღო - მდგომარეობა დასტაბილურდა, მაგრამ თავი იჩინა სხვა გართულებებმა - გააქტიურდა ინფექცია, ნაწოლები, პაციენტს სეფსისი განუვითარდა. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ - გენერალურმა დირექტორმა ირის ბორჩაშვილმა, კლინიკურმა დირექტორმა, პროფესორმა ჯუმბერ უნგიაძემ უზრუნველყვეს საჭირო მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა საგნების დროული შემოტანა, თბილისიდან მოიწვიეს სპეციალისტები, რომელთა დახმარება ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო - დამწვრობის ცენტრის დირექტორი გ. ქაშიბაძე და სეფსისოლოგი ს. სიამაშვილი, რომლებმაც კანი გადანერგეს დეფექტების მოსაცილებლად. დღეისათვის ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. იგი კლინიკიდან მალე გაეწერება.

მსგავსი შემთხვევები „მედინაში“ სხვა დროსაც მომხდარა, ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია აქაური სტაფის ერთიანობისა და თავდადებისა სიცოცხლის გადასარჩენად.

ჩვენ მივეჩვიეთ ჰიპოკრატეს ფიცის ქვეშ გაერთიანებულთა მისამართით საყვედურის, ხშირად შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც და გვავიწყდება მადლიერების გამოხატვა ამ დიდი არმიის იმ ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც თავიანთ სასიცოცხლო რესურსს არ ზოგავენ სხვისი ჯანმრთელობისთვის. ზემოთ მოყვანილი ფაქტი სწორედ ის შემთხვევაა, როცა მედიკოსებს, ამჯერად ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას“ და აქ მოწვეულ, ზემოთ ჩამოთვლილ ექიმებს პატივისცემის ნიშნად თავი უნდა დავუხაროთ, ულრმესი მადლობა გადავუხადოთ და შრომა, პროფესიონალიზმი დავუფასოთ ადამიანის გადარჩენისთვის, რომელსაც არა მარტო სიცოცხლე, კიდურიც შეუნარჩუნეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრების თავიდან დასაწყებად.

**გვერდი მოამზადა**
**მარინა მითაიშვილმა**


| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი | გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე<br>ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი | რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.<br>(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.<br>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჭარია»<br>პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»<br>მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3 | მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა<br>ტელ: 27-13-31<br>აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში<br>დასაბეჭდად ხელმოწერილია 19/04/23, 21 10 სთ. | დირექტორი მამუკა ბერიძე |

# „ცეკვა არის გონების, სხეულის და გრძნობების განუწყვეტელი სინთეზი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარი ბათუმელი მოცეკვავე ნატალია დიასამიძეა. ის უკვე მე-3 წელია ესპანეთის ქალაქ მარბელიაში იმყოფება, სადაც ცეკვის აკადემია „Art Dance Marbella“ დააფუძნა. იქ ნებისმიერი ასაკის ადამიანს ასწავლიან ყველანაირ ცეკვას*

*ნატალიას ესპანელი მეუღლე ჰყავს, რომელიც 12 წლის წინ ბათუმში გაიცნო. ნატალია თავის შემოქმედებასა და სიყვარულის ისტორიაზე გვესაუბრება.*






**- ნატალია, თუ გახსოვთ მომენტი, როცა პირველად იცეკვეთ?**

- დავიწყოთ იქიდან, რომ ძალიან მორცხვი ბავშვი ვიყავი, სკოლაში დაფასთან გამოსვლა და გაკვეთილის მოყოლაც კი მრცხვენოდა, სახლში კი სარკის წინ დავდგებოდი და მუსიკის რიტმებს ჩემებური მოძრაობით მივყვებოდი. პირველად სკოლის საახალწლო ღონისძიებაზე ვიცეკვე 14 წლის ასაკში და როცა ხალხმა ტაში დამიკრა, სწორედ იმ მომენტიდან დამებადა საკუთარი თავის რწმენა. მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი გზა.

**- რა არის თქვენთვის ცეკვა, რატომ აირჩიეთ ეს სფერო?**

- ცეკვა არის გონების, სხეულის და გრძნობების განუწყვეტელი სინთეზი, რომელიც ასახავს ან გადმოსცემს რაიმე ამბავს. მე თვითონ ვარ ცეკვა. ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ასე ვგრძნობ. ეს ის არის, რაც ჩემშია განუწყვეტლივ. როცა მუსიკას თმის ღერიდან ფეხებამდე გრძნობ, როცა გტკივა თუ გიხარია, გინდა შენი სხეულის ენაზე გადმოსცე ეს ყველაფერი. ზოგჯერ ჩემთვის ხეებიც კი ცეკვავენ ქარში თავისი ლამაზი ტოტებით. წვიმა ჩემთვის ახალ მუსიკას წერს, ტალღებზე აღარაფერს ვამბობ. ხშირად ბუნება მაძლევს ახალი ცეკვის შექმნის იდეას.

**- მოგვიყევით თქვენი წარმატებების შესახებ...**

- ბავშვობიდან მოქნილი ვიყავი ჩემი უმცროსი ძმის დამსახურებით, უნდოდა, თავდაცვა მცოდნოდა და ხან „შპაგატში“ ჩაჯდომას მასწავლიდა, ხან „აპერკოტის“ დარტყმას, ხან ყირაზე გადასვლას... სკოლაში, ფიზკულტურის მასწავლებელი დედაჩემს სულ ეუბნებოდა, რომ ნიჭი მქონდა და აუცილებლად სპორტის, ან ცეკვის წრეში უნდა შევსულიყავი. 11 წლის ასაკში მხატვრულ ტანვარჯიშზე დავიწყე სიარული, ერთ წელში აჭარის ჩემპიონატი მოვიგე, რა თქმა უნდა, ჩემს ასაკობრივ კატეგორიაში. სამი წლის შემდეგ, ვარჯიშის დროს ზურგით დავეცი და ტრავმა მივიღე, რის გამოც, ტანვარჯიშს თავი დავანებე. 15-16 წლის ასაკში, სამეჯლისო სპორტული ცეკვების შესწავლა დავიწყე, თუმცა, ჩემი ყველაზე საყვარელი ცეკვა მაინც ესპანური პასადობლე და კუბური რუმბაა. წყვილში დიდხანს არასდროს მიცეკვია, კატეგორია „სოლო გოგონებში“ მაქვს მოგებული საქართველოს ჩემპიონატი და ერევანში „ერევან ოუფენის“ შეჯიბრი. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი პირადი მსაჯი და მაყურებელი ყოველთვის დედაჩემი იყო. ვაი, თუ სცენაზე მხრებში მოხრილი ვიდექი... მისი ერთი გამოხედვით ყველაფერი ნათქვამი იყო.

**- როგორც ვიცი, ცეკვის პარალელურად, აერობიკითაც იყავით დაკავებული და ჯგუფიც გყავდათ...**

- დიახ, სასტუმრო „შერატონში“ აერობიკის ჯგუფები მყავდა. დღემდე მაქვს კონტაქტი და მენატრება ჩემი ბეჯითი გოგონები.

**- წლების წინ მსახიობის ამპლუაც კარგად მოირგეთ და ზაზა ხალვაშის ფილმში ითამაშეთ. ამ მხრივ არ აპირებთ თქვენი ნიჭის განვითარებას?**

- ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო და მადლობა ზაზა ხალვაშს ამისთვის. ფილმი „სოლომონის“ შემდეგ ამერიკულ ფილმშიც „წმინდა სისხლი“ მქონდა მეორეხარისხოვანი როლი. მისი რეჟისორი ქრისტოფერ კოპოლა გახლდათ. ვფიქრობ, ამ მხრივ ჩემი თავი ამოვწურე. ვთვლი, რომ ან ერთი უნდა აირჩიო, ან მეორე. როცა ორ საქმეს ერთად აკეთებ, არც ერთი გამოგდის სრულყოფილად და არც მეორე.



**- როგორ აღმოჩნდით ესპანეთში?**

- ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის ჩემი დიდი სიყვარულის შესახებ, ესპანურ მუსიკასა და ცეკვასთან მიმართებაში. ჩაცმის სტილიც კი ბავშვობიდან ესპანურ-ბოჰემური მომწონდა. მიუხედავად ამისა, არასდროს მქონია საქართველოდან სხვა ქვეყანაში გადასვლის გეგმა. ცხოვრებას ბევრი აღმართ-დაღმართი ახლავს და სწორედ ერთ-ერთი „დაღმართის“ დროს გადავწყვიტე ესპანეთში წასვლა. აქ, მარბელიაში, ფიტნესის სფეროში მეგობრები მყავდა, ძალიან ცნობილი ძმები თორელები და მათი უმშვენიერესი დედა, რომელთანაც ვმეგობრობ. გადავწყვიტე, ერთთვიანი ვიზიტი გამეკეთებინა, როგორც პერსონალურ მწვრთნელს, მენახა, რა როგორ ხდებოდა, ღირდა თუ არა აქ დარჩენა, შევძლებდი თუ არა უცხო ქვეყანაში თავიდან დაბადებას, აღმოცენებას... მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

**- ესპანელი მეუღლე გყავთ, თქვენი გაცნობის ისტორია მოგვიყევით...**

- 2012 წელს, ბათუმისა და მარბელიას დამეგობრებასთან დაკავშირებით, ბათუმში გაიმართა გრანდიოზული ესპანური არტფესტივალი „ინტერ არტ ბათუმი“, რომლის ორგანიზატორი და ასევე ამ ქალაქების დამეგობრების ინიციატორიც ნატალი სტიუარტ-ფოქსი გახლდათ. ის საიმიჯო კლიპისთვის ფესტივალის სახეს ეძებდა ესპანური გარეგნობით. კლიპს კინოფესტივალ „ბიაფის“ დამფუძნებელი გიორგი გოგიბერიძე იღებდა. როდესაც ნატალიას შევხვდი, ვუთხარი, რომ ესპანური არ ვიცოდი, მაგრამ ისე მოვეწონე, მითხრა, ოღონდ სცენაზე დადექი წითელ, ესპანურ კაბაში და თუ გინდა, საერთოდ ნუ ამოიღებ ხმასო. ისე მოხდა, რომ ესპანეთის ოფიციალურ დელეგაციას ესპანურად უნდა მივსალმებოდით. ასე აღმოვჩნდით მე და ჩემი მომავალი მეუღლე ერთად სცენაზე, ბულვარის თეთრ კოლონადებთან, ფესტივალის ორგანიზატორებთან ერთად. დღემდე ვთვლი, რომ ეს დღე და ადგილი ჩემთვის საკრალური მნიშვნელობის იყო და მადლიერი ვარ ამის. გავიდა წლები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვეწვიე მარბელიას და აქ სამუდამოდ დაუკავშირდა ჩემი და ჩემი მეუღლის ხოსე-ლუისის გზები ერთმანეთს.

**- ენის ბარიერი როგორ დაძლიეთ?**

- დღემდე მავიწყდება ხოლმე წინდებულების სწორად გამოყენება. აქ ინგლისურად თითქმის ყველა საუბრობს, თუმცა, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობ, კეთილი უნდა ინებო და, პატივისცემის ნიშნად, მათი ენა შეისწავლო. თავდაპირველად გამიჭირდა. ახლა უკვე კარგად ვსაუბრობ, მაგრამ სიღრმისეულად, როგორც მინდა, ისე ვერ გადმოვცემ სათქმელს ბავშვებთან გაკვეთილის დროს. ესეც გამოსწორდება.

**- ცეკვის აკადემიაში რა ცეკვებს ასწავლით?**

- „Art Dance Marbella“ უკვე მე-3 წელია, რაც დავაფუძნე. აქ 3-დან 5 წლამდე ბავშვებს ბალეტს ვასწავლი, 7-დან 10 წლამდე მოზარდებს - თავისუფალი სტილის ცეკვებს, გააჩნია, რა ფანტაზია მომივა გონებაში, ქორეოგრაფიაში თავისუფალი ვარ და შეზღუდვები არ მაქვს, 10-დან 16 წლამდე მოზარდებს ჰიპ-ჰოპს, კონტემპორარის და ასე შემდეგ. ვცდილობ, ქორეოგრაფია ისე დავდგა, რომ ამბავი გადმოსცეს, არ იყოს მხოლოდ მოძრაობები. ბოლოს „ომი და მშვიდობა“ დავდგით (დღევანდელ მოვლენებთან დაკავშირებით), რამაც ჩემს ჯგუფს წარმატება მოუტანა.

**- რამდენად რთულია უცხოენოვან ბავშვებთან ურთიერთობა?**

- რთულიცაა და საინტერესოც. თითქმის ყველა ეროვნების ბავშვი მყავს ჯგუფში. როგორც ფიზიკურად, ასევე აზროვნებითაც განსხვავდებიან. ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება. გაკვეთილს ინგლისურ და ესპანურ ენებზე ვატარებ. როცა ვამთავრებ, ქართულად მეტყველება რომ არ დამავიწყდეს, ქართულ მუსიკას ვუსმენ და საკუთარ თავს ვახსენებ: - „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს“!

**- რა არის თქვენს სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- რიტმის შეგრძნება, დისციპლინა და ბევრი შრომა! ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, შრომისუნარიანი ბავშვი ბევრად უფრო მეტს აღწევს ცხოვრებაში, ვიდრე ნიჭიერი. ვისაც მარტივად გამოსდის ყველაფერი, მარტივადვე ანებებს თავს, რადგან ინტერესს სწრაფად კარგავს ნებისმიერ სფეროში. არის შემთხვევები, როცა ნიჭიერიცაა და შრომისმოყვარეც. ამ შემთხვევაში პროგრესი ძალიან სწრაფია.

**- მარბელიაზე გვიამბეთ, როგორია ესპანური ყოველდღიურობა?**

- ულამაზესი, ეგზოტიკური და თბილი! ბათუმს მახსენებს მოცულობით და ზღვით, უბრალოდ, აქ უკეთესი კლიმატია - ზამთარშიც კი თბილა, ულამაზესი გარემოა და მრავალფეროვნება. ხალხი - თბილი და მეგობრული, მღიმარე სახეებით. ძალიან გემრიელი სამზარეულო აქვთ, განსაკუთრებით, ზღვის პროდუქტებითაა მდიდარი.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- ჩემი გეგმები უკავშირდება ოჯახს და, რა თქმა უნდა, ჩემს საყვარელ საქმიანობას. სულ რაღაც ერთი თვის წინ ანდალუზიის ჩემპიონატი მოვიგეთ, ერთ თვეში ესპანეთის ნაციონალურ ჩემპიონატზე მივდივართ. მოკლედ, ნაბიჯ-ნაბიჯ, მოგებას ვგეგმავთ!